# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა,
18 აპრილი,
2004 წელი

№88
(4817)


გიხაროდენ!



## მანანაო, თვალხატულა

ძვირფასო რედაქცია, მინდა ჩემი ოჯახის სიხარული გაგიზიაროთ, 15 აპრილს მე და ჩემს მეუღლეს კესო თვალჭრელიძეს გოგონა შეგვეძინა. იცით რა გოგოა, ბუთხუზა და თვალხატულა. პატარას ბებიების სახელი მანანა დავარქვით, არც დედაჩემს დავწყვიტეთ გული და არც სიდედრს – ორივენი მანანები არიან.

დიდი მადლობა, ჩვენი შვილის დაბადების შესახებაც რომ ამცნეთ ქვეყანას.

**სანდრო ხომასურიძე.**

**კესო და სანდრო, პირველი შვილის შეძენას გილოცავთ. ბედნიერებას და მრავალ შვილს გისურვებთ.**

გუშინ

## პრეზიდენტთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში სრულიად ამერიკის და კანადის მიტროპოლიტი ჰერმანე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან ერთად მიიღო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

როგორც შეხვედრიდან გამოსულმა მიტროპოლიტმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი კმაყოფილია იმით, რომ პრეზიდენტმა მისთვის დრო გამონახა. „მოხარული ვარ იმითაც, რომ თქვენი პრეზიდენტი კათალიკოს-პატრიარქთან აქტიურად თანამშრომლობს" – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

მისივე განცხადებით, მან კათალიკოს-პატრიარქს შემოდგომისთვის საპასუხო მიწვევა გადასცა. სავარაუდოდ, ილია მეორე ამერიკაში შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან ერთად გაემგზავრება.

**ინტერ-პრესი.**



**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გუშინ საპატრიარქოში სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტს, მის უნეტარესობას ჰერმანეს შეხვდა.**

სულიერება

## მიტროპოლიტი ჰერმანე საქართველოსთვის ილოცებს

როგორც შეხვედრაზე საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, იგი ამერიკის მიტროპოლიტის საქართველოში ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან „ეს არის გაგრძელება იმ მეგობრული ურთიერთობისა, რაც ჩვენს ეკლესიებსა და ქვეყნებს შორის არსებობს". პატრიარქმა ასევე ისაუბრა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე.

სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი, მისი უნეტარესობა ჰერმანე საქართველოს მომავალში გარკვეულ დახმარებასაც დაჰპირდა და აღნიშნა, რომ ილოცებდა ქართველი ხალხისთვის.

სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში დარჩება. იგი მცხეთის, ჯვრის, ბოდბის, გრემის, წინანდლის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსებს მოინახულებს.

**ინტერ-პრესი.**

## ურთიერთობების უფრო მეტად გასაღრმავებლად

**დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში მაკ ლარენი დიპლომატიურ მისიას საქართველოში ოფიციალურად განახორციელებს. მან ამ პოსტზე დებორა ჯონსი შეცვალა. გუშინ დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცა.**

შეხვედრა პრეზიდენტსა და ელჩს შორის პირისპირ, დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის დასრულების შემდეგ მაკ ლარენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილთან მას საკმაოდ კონსტრუქციული საუბარი ჰქონდა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უფრო მეტად გაღრმავდეს", – აღნიშნა მაკ ლარენმა.

**ინტერ-პრესი.**

დედაქალაქი

## მოხალისეთა დღე კიკვიძის ბაღში

**მოხალისეთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ვასილ კიკვიძის სახელობის ვეტერანთა პარკში გუშინ დილიდან ნაძალადევის რაიონის გამგეობა და გარემოს დაცვის სამსახური დასუფთავებით და გამწვანებით სამუშაოებს ახორციელებდა.**



სამუშაოების მიმდინარეობა ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამაც მოინახულა. პარკში იმყოფებოდნენ და შაბათობაში მონაწილეობდნენ საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების და საელჩოების წარმომადგენელთა შვილები, ამერიკული სკოლის მოსწავლეები, აგრეთვე, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ჩაჩანიძე. მათ ბაღში რამდენიმე ფიჭვის ხე თავად დარგეს.

როგორც ჟურნალისტებს ვანო ზოდელავამ განუცხადა, კიკვიძის ბაღი წლეულს განსაკუთრებულად კეთილმოეწყობა. „აქ ისეთი ატრაქციონები დამონტაჟდება, რაც ხალხს უკვე დავიწყებული აქვს. კონკრეტულად, უახლოეს მომავალში ამოქმედდება ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გაჩერებული საპარაშუტო კოშკი, საიდანაც, პირველი თვით გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე გადმოხტება. – განაცხადა მერმა. ზოდელავას თქმით, ბაღში მოეწყობა სტადიონი და სხვა რამდენიმე სპორტული ობიექტი.

**ინტერ-პრესი.**

თვალსაწიერი

## ჩიხი

**გვიყვარს ხოლმე ბაზალეთის მოხმობა ქართველთა პირისპირ დგომის სამარცხვინო მაგალითად.**

**მაგრამ მარტო ბაზალეთია ასეთი თავისმჭრელი ფურცელი ჩვენს სისხლით გალოპრილ მატიანეში?**

**მთელი ჩვენი ისტორია გმირობის, სამშობლოს საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად მიტანის მაგალითების პარალელურად, ვაი რომ, ღალატის, ქიშპის, შინაომების გაბმული ჯაჭვიც არის.**

ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე III საუკუნეში, საქართველოს მეორე მეფეს საურმაგ ფარნავაზის ძეს ერისთავები აუჯანყდნენ: ჩვენთვის, ერისთავებისთვის, სასიკეთო არ არის, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენსავე ნათესავ ქართველს ვეყმოთ; ამას ის გვირჩევნია, ვინმე უცხო მოვიდეს, ხარკი ვაძლიოთ და იმან იბატონოსო. მეფემ ჩრდილოეთ კავკასიიდან დურძუკები და ოსები გადმოიყვანა, „მოსრა განდგომილნი მისნი", მერე კი აიღო და ამოჟლეტილთა ადგილას ის ჩამოყვანილი გადამთიელნი ჩაასახლა.

XI საუკუნე დაამძიმა კლდეკარის ერისთავების ლიპარიტ, ივანე ლიპარიტის ძე, ლიპარიტ ივანეს ძე და რატი ლიპარიტის ძე ბაღვაშთა ლამის „საგვარეულო ტრადიციად" დამკვიდრებულმა ღალატმა – ბიზანტიელთა თუ თურქთა ხელით ქართული ნარის გლეჯვამ.

გუზან ტაოელმა, ბოცო ჯაყელმა და ვარდან დადიანმა სისხლისმღვრელი ომი გაუმართეს თამარის ლაშქარს ნიალის ველზე. ასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა ამ ბრძოლას.

სამივე ეს ეპიზოდი საქართველოს სამეფოს ძლიერების მწვერვალს განეკუთვნება: დიდი ფარნავაზის შემდგომ პერიოდს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას, როცა საქართველო, იმდროინდელი აზია-ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, განვრცობილ იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

იხ. მე-2 გვ.

დღის თემა

## 26 მაისს საქართველო ახალი გერბით შეეგებება

### ასე ფიქრობს ელდარ შენგელაია

**როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 მარტის №76 ბრძანებულებით შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისია", რომელმაც ერთიანი ჰერალდიკური საქმიანობის შესახებ წინადადებები ქვეყნის პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს.**

**ამჯერად კომისიამ პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე გამოაცხადა კონკურსი საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტისა და გერბის დევიზის შესახებ.**

**კონკურსის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია:**

იხ. მე-3 გვ.

ინტერპანორამა



**<u>იაპონიაში</u> დაიწვა იმ კარაველის ზუსტი ასლი, რომლითაც კოლუმბმა ამერიკამდე ჩააღწია. მეხანძრეთა ერთსაათიანი მცდელობის მიუხედავად, 32-მეტრიანი გემი ნახევრად განადგურდა.**



**<u>ამერიკელებისა</u> და ასსადრის მოლაპარკება ჩაიშალა. ნეჯეფში ბრძოლები დაიწყო. კოალიციის ძალები შტურმს აპირებენ. შიიტები ნებისმიერ დროს ელოდებიან ნეჯეფზე შეტევას.**



**<u>ტერორისტმა-თვითმკვლელმა</u> თავი აიფეთქა საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ერეცთან". წლეულს ეს უკვე მეოთხე ტერაქტია, რომელიც ამ ადგილზე განხორციელდა. მასზე პასუხისმგებლობა ერთდროულად ორმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ აიღო – „ჰამასმა" და ფათჰის საბრძოლო ფრთამ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## დღის თემა

(პირველი გვერდიდან)

– სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. ჰერალდიკაში უპირველესი მნიშვნელობისაა გერბი. მისგან გამოდის დროშა, ხოლო ამ ორიდან გამომდინარეა ჰიმნი.

თუმცა, ჩვენთან, მდგომარეობის გათვალისწინებით ყველაფერი ასე არ მოხდა იმიტომ, რომ 1999 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება გერბისა და დროშის შეცვლის შესახებ და მიმართა პრეზიდენტს, რომ მას წარმოედგინა სათანადო კანონი. მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტმა მაშინ პასუხი არ გაგვცა. დადგენილება კი არსებობს, რომლის საფუძველზეც დროშა იმდენად გამოიკვეთა საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, რომ იგი აღარ მოითხოვდა რაიმე კონკურსს – დროშა სრულიად საქართველომ, მისმა თითოეულმა მოქალაქემ მიიღო! და ის პრეზიდენტის ინიციატივითა და მცირე ცვლილებებით პარლამენტმა დააკანონა.

**– დღის წესრიგში, რაღა თქმა უნდა, გერბისა და ჰიმნის საკითხი დგას. ორივეზე კონკურსია გამოცხადებული. როდისთვის აპირებთ მათ დაკანონებას?**

– ვიმედოვნებთ, რომ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს პარლამენტი მიიღებს ახალ გერბს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვსურს, რომ ასე მოვასწროთ. ამიტომ ვთხოვთ მასმედიის საშუალებებს, რომ დაგვეხმარონ და დროულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია კონკურსის არსებობის შესახებ. კონკურსი 14 აპრილიდან უკვე გამოცხადდა.

**– რას გვეტყვით გერბის პროექტზე, რა უნდა გაითვალისწინონ ავტორებმა?**

– კონკურსის პირობების თანახმად, პროექტების ავტორებმა უნდა წარმოადგინონ კონვერტით A2 ფორმატით (60X42 სმ) ორ ფურცელზე, აღნიშნული უნდა იყოს გერბის ფერითი და გრაფიკული გამოსახულება. კონვერტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა ეწეროს ავტორის მიერ შედგენილი ხუთნიშნა კოდი (ციფრები ზომით 5X10 მმზე. შავი ფერით). ეს კოდი უნდა იყოს აღნიშნული პროექტის ყველა ფურცელზე.

პროექტს ავტორმა უნდა მოაყოლოს მეორე პატარა, დალუქული კონვერტი, რომელშიც იქნება მისი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი და მისამართი), რაღა თქმა უნდა, მასზეც გამოსახული იქნება ხუთნიშნა საავტორო კოდი.

კომისია პირადი მონაცემების შემცველ კონვერტებს არ გახსნის მანამდე, სანამ ჟიური არ დაადგენს გამარჯვებულის ვინაობას. მხოლოდ მაშინ, ხუთნიშნა კოდის მეშვეობით დადგინდება, თუ რომელი ავტორისაა გამარჯვებული პროექტი.

**– ეს იგი, ყველაფერი გასაიდუმლოებული იქნება, „ჩაწყობის“ გარეშე...**

– ჟიურის არ ეცოდინება ავტორთა ვინაობა. მეტსაც გეტყვით, ჟიური იმუშავებს მხოლოდ ერთ დღეს. დღის 9 საათზე რომ დასხდებიან, სანამ არ დაამთავრებენ საქმეს, სანამ არ შეთანხმდებიან, იმ ოთახიდან არ გამოვლენ. ამის ყველა პირობას შევუქმნით.

**– ბატონო ელდარ, რა მიგაჩნიათ ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმად?**

– კონკურსის პირობებში შეფასების კრიტერიუმიც არის გათვალისწინებული.



# 26 მაისს საქართველო ახალი გერბით შეეგებება

### ასე ფიქრობს ელდარ შენგელაია

უპირველესად, გერბი უნდა გამოხატავდეს ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებს. გარდა ამისა, პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულად არსებული სახელმწიფო სიმბოლიკა და ჰერალდიკური ტრადიციები, რომლებითაც ჩვენი ისტორია ასე მდიდარია. პროექტი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიოში აღიარებულ ჰერალდიკურ ნორმებს.

მაგალითად, წმინდა გიორგი მსოფლიოში არსებულ სიმბოლოებს სავსებით შეესაბამება. წმინდა გიორგი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ნაშრომში წითელ დროშაზე გამოსახული ჰყავს წმინდა გიორგი, რომელსაც აწერია „საქართველოისი“, ანუ ეს სიმბოლო თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ის ქვეყნის ჭეშმარიტი სახეა. არის კიდევ ამ მნიშვნელობის სხვა, მსოფლიოში მიღებული სიმბოლოები. ჩვენ ამისი დიდი ტრადიციები გვაქვს.

**– ჰერალდიკა, როგორც ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, უკვე მთელ მსოფლიოშია ჩამოყალიბებული...**

– დიახ, ეს საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. მას თავისი წესები აქვს. ავტორი კი, რომელიც გერბის პროექტზე იმუშავებს, უნდა იცნობდეს ამ წესებს და გაითვალისწინოს ისინი. პროექტზე მუშაობა დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდ ცოდნასაც მოითხოვს. თანაც, აუცილებელი პირობაა, რადგან ჩვენს გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ვართ უძველესი ევროპელები და მართლაც ვართ, ამ კულტურაში ჩვენი სახე არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ჰერალდიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

**– დევიზის კონკურსი კიდევ ცალკე ცხადდება? რამ განაპირობა ეს?**

– დიახ, ჩვენ ვაცხადებთ ორ კონკურსს. მეორე სწორედ დევიზის კონკურსია. შეიძლება ავტორმა წარმოადგინოს საინტერესო პროექტი და მას დევიზიც მიაწეროს, მაგრამ ჩვენ ამ კონკურსში ვერ გამოვრიცხავთ ფილოსოფოსებს, ლიტერატორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, იმათ, ვისაც შეუძლია საინტერესო აზრი მოგვაწოდონ დევიზის შესახებ. ამიტომ ვატარებთ ორ კონკურსს. ჩვენ არ ვავალებთ გერბის პროექტის შემქმნელს, რომ აუცილებლად შექმნას დევიზიც. მაგრამ, თუ შექმნის, ვურჩევთ, რომ ცალკე, დევიზის კონკურსში წარმოადგინოს. ორივეგან ცალ-ცალკე ჟიური იმუშავებს.

**– ვთქვათ შეირჩა რამდენიმე დევიზი. ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა?**

– თუკი შეირჩა რამდენიმე დევიზი, ისინი წარედგინება პრეზიდენტს და მასთან მსჯელობისას შეჯერდება საბოლოო ვარიანტი. დევიზები ისტორიულად ყოველთვის იცვლებოდა. მეფეები, სახელმწიფოს მეთაურები ცვლიდნენ მას ეპოქის, დროის შესაბამისად. ძალიან მინდა, რომ მივიღოთ ისეთი გერბი, რომელიც დარჩება ქვეყანას, როგორც ტრადიციული და საბოლოო.

**– ატრიბუტიკა სხვა ქვეყნებშიც იცვლება. მაგალითად, სომხეთშიც ახლახან შეიტანეს შესწორებები გერბში. მგონი, ჩვენთანაც მოხდა მსგავსი შესწორებები. ასეა?**

– ის გერბი, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიიღეს, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შეიცვალა, შიგ ჩაჯდა პატარა ჯვრები. სოციალ-დემოკრატებმა აირჩიეს თეთრი გიორგი. ისინი რელიგიას გვერდს უვლიდნენ. მაგრამ ახლა სხვა დროა, სხვა მიდგომაა რელიგიის მიმართ. ტრადიციებს ამიტომ ვანიჭებთ უდიდეს მნიშვნელობას. მაგრამ თუკი შემოვა ისეთი პროექტი, რომელიც ჩვენს ქართულ ტრადიციას არ შეესაბამება, მასზე არ ვიმსჯელებთ.

**– პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, კონკურსი შეზღუდული ხომ არ იქნება?**

– კონკურსის პირობების გათვალისწინებით ყველა პირს შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. საინტერესო იდეებს ველოდებით მათგან. ამასთან, განვლილი ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოში ჰერალდიკოსები არ გვყავდნენ. ბოლო ათწლეულში კი ახალგაზრდა ჰერალდიკოსების მეტად საინტერესო პლეადა ჩამოყალიბდა.

**– კონკურსის ვადები შემჭიდროებული ხომ არ არის?**

– კონკურსის ვადა ოცი დღეა – 14 აპრილიდან 4 მაისამდე – გერბზეც და დევიზზეც. ვფიქრობ, ქართველ შემოქმედებს მუშაობა არ გაუჭირდებათ, ჩვენ ხომ ჰაგიოგრაფიული თუ სიტყვაკაზმული მწერლობის უმდიდრესი და უდიდესი ისტორია გვაქვს, ასეა ჰერალდიკაშიც...



ესაუბრა
**ლია ჭიღლაძე.**



პატივგება

### ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცეთ, გმირებო!

**ზუგდიდში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის, მეომართა, პოლიტიკურ პარტიათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს გმირთა მოედანზე მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.**

**ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდის შემდეგ გამართულ შეკრებაზე მეომართა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დაღუპულ მებრძოლთა დედებმა, იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა დონეს იხმარს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

**თბილისსა და ბათუმს შორის უკანასკნელ პერიოდში გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაზე მსჯელობისას ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა, აფხაზეთის მეომარ-ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ ჯანრი უბირიამ, საქართველოს პარლამენტის წევრმა კობა ხაბაზმა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ მოუწოდეს საქართველოს ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას, მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ არსებული დაპირისპირება.**

**ინფორმაცია მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## მასმედია და სახელმწიფოს ინტერესები

**ჩვენ წლების განმავლობაში შევეჩვიეთ იმას, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა, მაგრამ არასდროს გვიფიქრია, თუ ოდესმე მშვიდობა ბეწვზე დაეკიდებოდა. ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა კი ქვეყანა საფრთხის ქვეშ დააყენა. ცენტრი მოთხოვნებს უყენებს რეგიონის ხელმძღვანელობას, რომელსაც მისი შესრულება არ სურს. სათქმელ-არგუმენტები, მეტ-ნაკლებად, ორივე მხარეს აქვს. შემაშფოთებელი ვითარების მოგვარებაში თავიანთი წვლილის შეტანა ქართველმა ბიზნესმენებმა სცადეს. ბათუმში გამგზავრებამდე და იქიდან დაბრუნების შემდეგაც ისინი შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც მათი ინიციატივა მოიწონა და განაცხადა, რომ მზად არის ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადების მისაღებად. პარლამენტის წევრი ნიკო ლეკიშვილი ცენტრის გარკვეულ მოთხოვნებს სამართლიანად მიიჩნევს.**

– ცენტრალური ხელისუფლება აუცილებლად უნდა აკონტროლებდეს ყოველ რეგიონს, მათ შორის, ცხადია, აჭარასაც (სამწუხაროდ, ჩვენ უკვე გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, რომელთაც ვერ ვაკონტროლებთ). ეს ცენტრის უფლებაა და უნდა აღსრულდეს, მაგრამ მოთხოვნებს რეგიონიც აყენებს. ამას ემატება გარკვეული პოლიტიკური ძალების ბრძოლა აჭარაში ხელისუფლების მოსაპოვებლად. დაძაბულობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ სისხლის დაღვრის შიშმა იჩინა თავი.

**ასეთ ვითარებაში განზე გადგომისა და შორიდან ცქერის უფლება არავის აქვს. ძმათა დაპირისპირება სეირი კი არა, საერთო საწუხარია. სწორედ ამიტომ ჩავიდნენ ბათუმში ქართველი ბიზნესმენები და აჭარის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. საუბარმა ოთხ საათზე მეტხანს გასტანა.**

# იმედი მოთმინების ფიალით ხელში

### ნიკო ლეკიშვილის აზრით, ბევრი საკითხის გადაწყვეტას პრესით მისი გაშუქება უშლის ხელს

– მოლაპარაკება ძველის დავიწყებით და ახალი ფურცლის გადაშლით უნდა დაიწყოს. თუ ყურადღებას შეცდომებზე გავამახვილებთ, რასაც მხარეები ერთმანეთს წამოაყვედრებენ, ჩიხში შევალთ. ჩვენ შევეცადეთ, ის საკითხები წამოგვეწია, რომელთა მოწესრიგებაც დაპირისპირებას შეანელებდა.

ნიკო ლეკიშვილის აზრით, ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, ბიუჯეტთან, საბაჟოსთან, პორტთან, გადასახადებთან დაკავშირებული) ადვილად გადასაწყვეტია. გაცილებით რთულია, ვთქვათ, განიარაღების ან „გადაულახავი“ ჩოლოქის პრობლემა. როგორც გახსოვთ, ცოტა ხნის წინათ ჩოლოქზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ შეუშვეს. ნიკო ლეკიშვილს ასეთ დაძაბულ ფონზე ხელახალი არჩევნების ჩატარება სწორად არ მიაჩნია. „აღორძინებამ“ ისედაც უკვე წააგო. თანაც, ხელახალი არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილების სამართლიანობას იურისტებიც ასაჩივრებენ. ხულოსა და ქობულეთში ხელახალი არჩევნების დანიშვნამ ვითარება გაამწვავა და მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა.

იმის მოლოდინი, რომ აჭარის ხელმძღვანელობა ბიზნესმენებს ან არც მოუსმენდა, ან ოპოზიციის დათმობაზე გადაჭრილი უარით გამოისტუმრებდა, არ გამართლდა. გულახდილი საუბრის შემდეგ მეორე შეხვედრამდე საფიქრალი და განსახილველი ბევრი რამ არის. მთავარია, რომ, ბატონი ნიკოს თქმით, ფარდა აიწია და სასურველი შედეგის იმედი გაჩნდა. კონსტრუქციულ დიალოგზე ორივე მხარე თანახმაა. და მაშინ რა უშლის მას ხელს?

– უნდობლობა. ნდობის აღსადგენად ყველაფერი უნდა გაკეთდეს. ჩვენ, ბიზნესმენები, რაღაც მომენტამდე ვილაპარაკებთ, მაგრამ შემდეგ სხვა ადამიანები და სტრუქტურებიც უნდა ჩაერთონ. არსებობს საკითხები, რომლებიც კონკრეტულმა კომპეტენტურმა პირებმა უნდა გადაჭრან.

გასაგებია, რას მოითხოვს ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ, საინტერესოა, ბიზნესმენებთან საუბარში რა მოთხოვნები წამოაყენა აჭარის ლიდერმა? ბატონი ნიკო ამას არ აკონკრეტებს.

– ბევრი საკითხი იმიტომ ვერ წყდება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დაწვრილებით შუქდება. ხალხს პრობლემის მოგვარების დეტალები კი არა, შედეგი – მშვიდობა უნდა აინტერესებდეს. მიხეილ სააკაშვილთან და ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკების გარკვეულ მომენტებზე ღიად საუბარს საჭიროდ არ ვთვლი.



დაპირისპირების თანხმობაში გადაზრდის პროცესში დიდი როლი ენიჭება პრესას და, განსაკუთრებით, ტელევიზიას. თუმცა მის მიმართ შეფარულმა უკმაყოფილებამ უკვე გაიჟღერა. სხვათა შორის, ბათუმიდან ჩამოსვლის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილმა ქართველ ჟურნალისტებს თხოვნით მიმართა: გვერდით დაგვიდექით და მაპროვოცირებელ კითხვებს ნუ წამოჭრით. ყველამ უნდა გავიაზროთ, რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული ჩვენგანის სიტყვასა და ქმედებასო.

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარა“ კი ხან აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ვადამდელ არჩევნებზე ლაპარაკობს, ხანაც – მეორე „ხავერდოვან“ რევოლუციაზე. ბატონი ნიკო ფიქრობს, რომ თუ ასეთი რამ მოხდება, ნოემბრის მოვლენების მსგავსად არ დასრულდება. სჯობს, ყველაფერი კანონის ფარგლებში წარიმართოს.

– ღმერთმა ნუ ქნას, ამ დაპირისპირებამ უკიდურესი ფორმები მიიღოს. თუ ტყვია გავარდა, ლულას ველარ დაუბრუნდება. დრო მოვა და ვინც წასასვლელია, წავა, ვინც არა – დარჩება.

რაც შეეხება პროგნოზებს, მისი გამოკვეთა ჭირს. ნიკო ლეკიშვილის თქმით, თუ პროცესები ისე წარიმართება, როგორც ეს მოლაპარაკების დროს წარმოუდგენიათ, პრობლემა კონსტიტუციური გზით მოგვარდება. რამდენიმე დღის შემდეგ ბიზნესმენები კვლავ ეწვევიან ბათუმს. ალბათ, მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება კონკრეტულ საკითხებზე საუბარი. მანამდე კი რჩება იმედი მოთმინების ფიალით ხელში.

**რუსუდან გახარია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## დღის თემა

# 26 მაისს საქართველო ახალი გერბით შეეგებება

## ასე ფიქრობს ელდარ შენგელაია

(პირველი გვერდიდან)

— სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. ჰერალდიკაში უპირველესი მნიშვნელობისაა გერბი. მისგან გამოდის დროშა, ხოლო ამ ორიდან გამომდინარეა ჰიმნი.

თუმცა, ჩვენთან, მდგომარეობის გათვალისწინებით ყველაფერი ასე არ მოხდა იმიტომ, რომ 1999 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება გერბისა და დროშის შეცვლის შესახებ და მიმართა პრეზიდენტს, რომ მას წარმოედგინა სათანადო კანონი. მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტმა მაშინ პასუხი არ გაგვცა. დადგენილება კი არსებობს, რომლის საფუძველზეც დროშა იმდენად გამოიკვეთა საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, რომ იგი აღარ მოითხოვდა რაიმე კონკურსს — დროშა სრულიად საქართველომ, მისმა თითოეულმა მოქალაქემ მიიღო! და ის პრეზიდენტის ინიციატივითა და მცირე ცვლილებებით პარლამენტმა დააკანონა.

**— დღის წესრიგში, რაღა თქმა უნდა, გერბისა და ჰიმნის საკითხი დგას. ორივეზე კონკურსია გამოცხადებული. როდისთვის აპირებთ მათ დაკანონებას?**

— ვიმედოვნებთ, რომ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს პარლამენტი მიიღებს ახალ გერბს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვსურს, რომ ასე მოვასწროთ. ამიტომ ვთხოვთ მასმედიის საშუალებებს, რომ დაგვეხმარონ და დროულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია კონკურსის არსებობის შესახებ.

კონკურსი 14 აპრილიდან უკვე გამოცხადდა.

**— რას გვეტყვით გერბის პროექტზე, რა უნდა გაითვალისწინონ ავტორებმა?**

— კონკურსის პირობების თანახმად, პროექტების ავტორებმა უნდა წარმოადგინონ კონვერტით A2 ფორმატით (60X42 სმ) ორ ფურცელზე, აღნიშნული უნდა იყოს გერბის ფერითი და გრაფიკული გამოსახულება. კონვერტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა ეწეროს ავტორის მიერ შედგენილი ხუთნიშნა კოდი (ციფრები ზომით 5X10 მმ-ზე. შავი ფერით). ეს კოდი უნდა იყოს აღნიშნული პროექტის ყველა ფურცელზე.

პროექტს ავტორმა უნდა მოაყოლოს მეორე პატარა, დალუქული კონვერტი, რომელშიც იქნება მისი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი და მისამართი), რაღა თქმა უნდა, მასზეც გამოსახული იქნება ხუთნიშნა საავტორო კოდი.

კომისია პირადი მონაცემების შემცველ კონვერტებს არ გახსნის მანამდე, სანამ ჟიური არ დაადგენს გამარჯვებულის ვინაობას. მხოლოდ მაშინ, ხუთნიშნა კოდის მეშვეობით დადგინდება, თუ რომელი ავტორისაა გამარჯვებული პროექტი.

**— ეს იგი, ყველაფერი გასაიდუმლოებული იქნება, „ჩაწყობის“ გარეშე...**

— ჟიურის არ ეცოდინება ავტორთა ვინაობა. მეტსაც გეტყვით, ჟიური იმუშავებს მხოლოდ ერთ დღეს. დღის 9 საათზე რომ დასხდებიან, სანამ არ დაამთავრებენ საქმეს, სანამ არ შეთანხმდებიან, იმ ოთახიდან არ გამოვლენ. ამის ყველა პირობას შევუქმნით.

**— ბატონო ელდარ, რა მიგაჩნიათ ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმად?**

— კონკურსის პირობებში შეფასების კრიტერიუმიც არის გათვალისწინებული. უპირველესად, გერბი უნდა გამოხატავდეს ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებს. გარდა ამისა, პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულად არსებული სახელმწიფო სიმბოლიკა და ჰერალდიკური ტრადიციები, რომლებითაც ჩვენი ისტორია ასე მდიდარია. პროექტი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიოში აღიარებულ ჰერალდიკურ ნორმებს.

მაგალითად, წმინდა გიორგი მსოფლიოში არსებულ სიმბოლოებს სავსებით შეესაბამება. წმინდა გიორგი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ნაშრომში წითელ დროშაზე გამოსახული ჰყავს წმინდა გიორგი, რომელსაც აწერია „საქართველოისი“, ანუ ეს სიმბოლო თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ის ქვეყნის ჭეშმარიტი სახეა. არის კიდევ ამ მნიშვნელობის სხვა, მსოფლიოში მიღებული სიმბოლოები. ჩვენ ამისი დიდი ტრადიციები გვაქვს.

**— ჰერალდიკა, როგორც ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, უკვე მთელ მსოფლიოშია ჩამოყალიბებული...**

— დიახ, ეს საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. მას თავისი წესები აქვს. ავტორი კი, რომელიც გერბის პროექტზე იმუშავებს, უნდა იცნობდეს ამ წესებს და გაითვალისწინოს ისინი. პროექტზე მუშაობა დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდ ცოდნასაც მოითხოვს. თანაც, აუცილებელი პირობაა, რადგან ჩვენს გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ვართ უძველესი ევროპელები და მართლაც ვართ, ამ კულტურაში ჩვენი სახე არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ჰერალდიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.



**— დევიზის კონკურსი კიდევ ცალკე ცხადდება? რამ განაპირობა ეს?**

— დიახ, ჩვენ ვაცხადებთ ორ კონკურსს. მეორე სწორედ დევიზის კონკურსია. შეიძლება ავტორმა წარმოადგინოს საინტერესო პროექტი და მას დევიზიც მიაწეროს, მაგრამ ჩვენ ამ კონკურსში ვერ გამოვრიცხავთ ფილოსოფოსებს, ლიტერატორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, იმათ, ვისაც შეუძლია საინტერესო აზრი მოგვაწოდონ დევიზის შესახებ. ამიტომ ვატარებთ ორ კონკურსს. ჩვენ არ ვავალებთ გერბის პროექტის შემქმნელს, რომ აუცილებლად შექმნას დევიზიც. თუ შექმნის, — კი ბატონო. მაგრამ ვურჩევთ, რომ ცალკე, დევიზის კონკურსში წარმოადგინოს თავისი ნააზრევი. ასე რომ, ორივეგან ცალ-ცალკე ჟიური იმუშავებს.

**— ვთქვათ შეირჩა რამდენიმე დევიზი. ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა?**

— თუკი შეირჩა რამდენიმე დევიზი, ისინი წარედგინება პრეზიდენტს და მასთან მსჯელობისას შეჯერდება საბოლოო ვარიანტი. დევიზები ისტორიულად ყოველთვის იცვლებოდა. მეფეები, სახელმწიფოს მეთაურები ცვლიდნენ მას ეპოქის, დროის შესაბამისად. ძალიან მინდა, რომ მივიღოთ ისეთი გერბი, რომელიც დარჩება ქვეყანას, როგორც ტრადიციული და საბოლოო.

**— ატრიბუტიკა სხვა ქვეყნებშიც იცვლება. მაგალითად, სომხეთშიც ახლახან შეიტანეს შესწორებები გერბში. მგონი, ჩვენთანაც მოხდა მსგავსი შესწორებები. ასეა?**

— ის გერბი, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიიღეს, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შეიცვალა, შიგ ჩაჯდა პატარა ჯვრები. სოციალ-დემოკრატებმა აირჩიეს თეთრი გიორგი. ისინი რელიგიას გვერდს უვლიდნენ. მაგრამ ახლა სხვა დროა, სხვა მიდგომაა რელიგიის მიმართ. ტრადიციებს ამიტომ ვანიჭებთ უდიდეს მნიშვნელობას. მაგრამ თუკი შემოვა ისეთი პროექტი, რომელიც ჩვენს ქართულ ტრადიციას არ შეესაბამება, მასზე არ ვიმსჯელებთ.

**— პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, კონკურსი შეზღუდული ხომ არ იქნება?**

— კონკურსის პირობების გათვალისწინებით ყველა პირს შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. საინტერესო იდეებს ველოდებით მათგან. ამასთან, განვლილი ორი საუკუნის განმალვობაში საქართველოში ჰერალდიკოსები არ გვყავდნენ. ბოლო ათწლეულში კი ახალგაზრდა ჰერალდიკოსების მეტად საინტერესო პლეადა ჩამოყალიბდა.

**— კონკურსის ვადები შემჭიდროებული ხომ არ არის?**

— კონკურსის ვადა ოცი დღეა — 14 აპრილიდან 4 მაისამდე — გერბზეც და დევიზზეც. ვფიქრობ, ქართველ შემოქმედებს მუშაობა არ გაუჭირდებათ, ჩვენ ხომ ჰაგიოგრაფიული თუ სიტყვაკაზმული მწერლობის უმდიდრესი და უდიდესი ისტორია გვაქვს, ასეა ჰერალდიკაშიც...

**ესაუბრა**
**ლია ჟიღლაძე.**



პატივება

### ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცეთ, გმირებო!

**გუშინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის, მეომართა, პოლიტიკურ პარტიათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს გმირთა მოედანზე მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.**

**ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდის შემდეგ გამართულ შეკრებაზე მეომართა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დაღუპულ მებრძოლთა დედებმა, იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

**თბილისსა და ბათუმს შორის უკანასკნელ პერიოდში გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაზე მსჯელობისას ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა, აფხაზეთის მეომარ-ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ ჯანრი უბირიამ, საქართველოს პარლამენტის წევრმა კობა ხაბაზმა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ მოუწოდეს საქართველოს ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას, მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ არსებული დაპირისპირება.**

**ინფორმაცია მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## მასმედია და სახელმწიფო ინტერესები

# იმედი მოთმინების ფიალით ხელში

## ნიკო ლეკიშვილის აზრით, ბევრი საკითხის გადაწყვეტას პრესით მისი გაშუქება უშლის ხელს

**ჩვენ წლების განმავლობაში შევეჩვიეთ იმას, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა, მაგრამ არასდროს გვიფიქრია, თუ ოდესმე მშვიდობა ბეწვზე დაეკიდებოდა. ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა კი ქვეყანა საფრთხის ქვეშ დააყენა. ცენტრი მოთხოვნებს უყენებს რეგიონის ხელმძღვანელობას, რომელსაც მისი შესრულება არ სურს. სათქმელ-არგუმენტები, მეტ-ნაკლებად, ორივე მხარეს აქვს. შემაშფოთებელი ვითარების მოგვარებაში თავიანთი წვლილის შეტანა ქართველმა ბიზნესმენებმა სცადეს. ბათუმში გამგზავრებამდე და იქიდან დაბრუნების შემდეგაც ისინი შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც მათი ინიციატივა მოიწონა და განაცხადა, რომ მზად არის ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადების მისაღებად. პარლამენტის წევრი ნიკო ლეკიშვილი ცენტრის გარკვეულ მოთხოვნებს სამართლიანად მიიჩნევს.**

— ცენტრალური ხელისუფლება აუცილებლად უნდა აკონტროლებდეს ყოველ რეგიონს, მათ შორის, ცხადია, აჭარასაც (სამწუხაროდ, ჩვენ უკვე გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, რომელთაც ვერ ვაკონტროლებთ). ეს ცენტრის უფლებაა და უნდა აღსრულდეს, მაგრამ მოთხოვნებს რეგიონიც აყენებს. ამას ემატება გარკვეული პოლიტიკური ძალების ბრძოლა აჭარაში ხელისუფლების მოსაპოვებლად. დაძაბულობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ სისხლის დაღვრის შიშმა იჩინა თავი.

**ასეთ ვითარებაში განზე გადგომისა და შორიდან ცქერის უფლება არავის აქვს. ძმათა დაპირისპირება სეირი კი არა, საერთო საწუხარია. სწორედ ამიტომ ჩავიდნენ ბათუმში ქართველი ბიზნესმენები და აჭარის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. საუბარმა ოთხ საათზე მეტხანს გასტანა.**

— მოლაპარაკება ძველის დავიწყებით და ახალი ფურცლის გადაშლით უნდა დაიწყოს. თუ ყურადღებას შეცდომებზე გავამახვილებთ, რასაც მხარეები ერთმანეთს წამოაყვედრებენ, ჩიხში შევალთ. ჩვენ შევეცადეთ, ის საკითხები წამოგვეწია, რომელთა მოწესრიგებაც დაპირისპირებას შეანელებდა.

ნიკო ლეკიშვილის აზრით, ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, ბიუჯეტთან, საბაჟოსთან, პორტთან, გადასახადებთან დაკავშირებული) ადვილად გადასაწყვეტია. გაცილებით რთულია, ვთქვათ, განიარაღების ან „გადაულახავი“ ჩოლოქის პრობლემა. როგორც გახსოვთ, ცოტა ხნის წინათ ჩოლოქზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ შეუშვეს. ნიკო ლეკიშვილს ასეთ დაძაბულ ფონზე ხელახალი არჩევნების ჩატარება სწორად არ მიაჩნია. „აღორძინებამ“ ისედაც უკვე წააგო. თანაც, ხელახალი არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილების სამართლიანობას იურისტებიც ასაჩივრებენ. ხულოსა და ქობულეთში ხელახალი არჩევნების დანიშვნამ ვითარება გაამწვავა და მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა.

იმის მოლოდინი, რომ აჭარის ხელმძღვანელობა ბიზნესმენებს ან არც მოუსმენდა, ან ოპოზიციის დათმობაზე გადაჭრილი უარით გამოისტუმრებდა, არ გამართლდა. გულახდილი საუბრის შემდეგ მეორე შეხვედრამდე საფიქრალი და განსახილველი ბევრი რამ არის. მთავარია, რომ, ბატონი ნიკოს თქმით, ფარდა აიწია და სასურველი შედეგის იმედი გაჩნდა. კონსტრუქციულ დიალოგზე ორივე მხარე თანახმაა. და მაშინ რა უშლის მას ხელს?

— უნდობლობა. ნდობის აღსადგენად ყველაფერი უნდა გაკეთდეს. ჩვენ, ბიზნესმენები, რაღაც მომენტამდე ვილაპარაკებთ, მაგრამ შემდეგ სხვა ადამიანები და სტრუქტურებიც უნდა ჩაერთონ. არსებობს საკითხები, რომლებიც კონკრეტულმა კომპეტენტურმა პირებმა უნდა გადაჭრან.

გასაგებია, რას მოითხოვს ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ, საინტერესოა, ბიზნესმენებთან საუბარში რა მოთხოვნები წამოაყენა აჭარის ლიდერმა? ბატონი ნიკო ამას არ აკონკრეტებს.



— ბევრი საკითხი იმიტომ ვერ წყდება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დაწვრილებით შუქდება. ხალხს პრობლემის მოგვარების დეტალები კი არა, შედეგი — მშვიდობა უნდა აინტერესებდეს. მიხეილ სააკაშვილთან და ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკების გარკვეულ მომენტებზე ღიად საუბარს საჭიროდ არ ვთვლი.

დაპირისპირების თანხმობაში გადაზრდის პროცესში დიდი როლი ენიჭება პრესას და, განსაკუთრებით, ტელევიზიას. თუმცა მის მიმართ შეფარულმა უკმაყოფილებამ უკვე გაიჟღერა. სხვათა შორის, ბათუმიდან ჩამოსვლის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილმა ქართველ ჟურნალისტებს თხოვნით მიმართა: გვერდით დაგვიდექით და მაპროვოცირებელ კითხვებს ნუ წამოჭრით. ყველამ უნდა გავიაზროთ, რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული ჩვენგანის სიტყვასა და ქმედებასო.

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარა“ კი ხან აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ვადამდელ არჩევნებზე ლაპარაკობს, ხანაც — მეორე „ხავერდოვან“ რევოლუციაზე. ბატონი ნიკო ფიქრობს, რომ თუ ასეთი რამ მოხდება, ნოემბრის მოვლენების მსგავსად არ დასრულდება. სჯობს, ყველაფერი კანონის ფარგლებში წარიმართოს.

— ღმერთმა ნუ ქნას, ამ დაპირისპირებამ უკიდურესი ფორმები მიიღოს. თუ ტყვია გავარდა, ლულას ველარ დაუბრუნდება. დრო მოვა და ვინც წასასვლელია, წავა, ვინც არა — დარჩება.

რაც შეეხება პროგნოზებს, მისი გამოკვეთა ჭირს. ნიკო ლეკიშვილის თქმით, თუ პროცესები ისე წარიმართება, როგორც ეს მოლაპარაკებების დროს წარმოუდგენიათ, პრობლემა კონსტიტუციური გზით მოგვარდება. რამდენიმე დღის შემდეგ ბიზნესმენები კვლავ ეწვევიან ბათუმს. ალბათ, მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება კონკრეტულ საკითხებზე საუბარი. მანამდე კი რჩება იმედი მოთმინების ფიალით ხელში.

**რუსუდან გახარია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 88, კვირა, 18 აპრილი, 2004 წელი.

ეპისტოლე



ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

## ჭამა-სმის თაობაზე

აი, ჩვენი – ქართველთა კიდევ ერთი უბედურება!.. კიდევ ერთი კი არა, თავი და თავი ვაი-ვაგლახი:

ჭამა და სმა!

სმა და ჭამა!

როგორი კრიტიკული და მომთხოვნიც უნდა ვიყოთ, ვერ ვიტყვით, რომ „კუჭის აზროვნებას“ ვერ გავცილდით და „თავით აზროვნებისთვის“ ხელი არ მიგვიწვდენია. თითქოს კუჭი კუჭად და თავიც თავად გვბმია, მაგრამ...

მაგრამ, მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ჯერ ერთი, ხომ პირველი საუკუნიდან ვართ ქრისტიანები, თვით ქრისტეს მოციქულების ხელით მოტანილი (ანდრია პირველწოდებულმა რომ ჭყონში წარმართული სალოცავი მუხა მოჭრა და იმ ადგილზე ჯვარი აღმართა – იმ დღიდან. აქვეა სიმონ კანანელი და მატათა) ჩვენგან „მიტაცებული“ რელიგია იმთავითვე ვაღიარეთ. ქრისტიანობა ხომ ჩვენში ცეცხლითა და მახვილით არ გავრცელებულა? ესე იგი, მივიღეთ ჩვენი სურვილით და ნებით. მოვიდნენ (იცოდნენ, სად მიდიოდნენ!) ლოცვა-კურთხევით და გვიქადაგეს: არავითარი კერპების, ცეცხლის, ხეების და ქვების თაყვანისცემა თქვენი საქმე არაა. თქვენ, ჩვენ ვიცით, ისეთი ღმერთი და რწმენა გეკადრებათ, როგორიც მაცხოვარი და მისი მოძღვრებააო.

ჩვენც აღვფრთოვანდით: ეეე! რახანია რაღაცა მაგდაგვარზე ვოცნებობთ, ვეძებდით და თქვენ, ღვთის ნებით, დაგისწრიათ, თორემ ენაზე გვადგა და ეს-ეს იყო უნდა გვეღაღადა. მაგრამ, რაკი არც მეტი, არც ნაკლები, ეს იქნებოდა, რასაც გვაუწყებთ, ა, ბატონო, ხელი ხელს და პირი პირს-თქო. თანაც გამოგვარჩიეს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ხალხი ხართო! რაც ღმერთმა ინება, თორემ ეს მარტო ჩვენი სურვილით და მცდელობით არ იქნებოდა. ღირსეული ხართ და ღმერთმა და ღვთისმშობელმა ღირსგყოთო!

ახლა, დაჩი, შენ უსათუოდ დაიბნევი და თავს გაიქნევ:

– ჭამა-სმაზე გვქონდა საუბარი და ქრისტიანობა...

– ქრისტიანობა... ქრისტიანობა... და პირველივე საუკუნიდან...

– კი მაგრამ... პირველი საუკუნიდან?!.

– პირველი საუკუნიდან და ქრისტეს მოციქულების ხელით...

– მაშინ, მეოთხე საუკუნე... რატომ მეოთხე და არა პირველი?!

– ეს, როგორც სახელმწიფო... სახელმწიფო რელიგია... როცა მირიან მეფემ და დედოფალმა ნანამ... უფრო სწორად, ჯერ დედოფალმა ნანამ იწამა და მერე მირიანმა, როცა ნადირობისას მზე დაუბნელდა...



ნიკო ფიროსმანი. „ქეიფი ყურძნის კრეფის დროს“. ფრაგმენტი.

მაგრამ მანამდეც და მაშინაც ხომ არაქრისტიანები არ ვიყავით? მოციქულების ამაგი წყალში კი არ ჩაგვიყრია.

– ჰო, მაგრამ ქრისტიანობა და ჭამა-სმა?!.

– კი, კი, ქრისტიანობა, როგორც გითხარი... როგორც... აზროვნება ჭეშმარიტი რელიგიის „მიტაცების“ თაობაზე... ძალდაუტანებლად, უცეცხლოდ და უმახვილოდ...

– რაც ადამიანი გაჩნდა, ღმერთიც გაჩნდა. ადამიანს უღმერთოდ არ უარსებია და, რა თქმა უნდა, მანამდეც გვყავდა ღმერთი... და, ამდენად, ღმერთის ღმერთით შეცვლა ასე შენი ნებით, განსჯით, უკეთესის უკეთესის ნდომით, ასე ქადაგებით და სახარების კითხვით, როგორ გინდა? აქ მარტო შავისა და თეთრის გარჩევა არ გიშველის, რომ მიიღო ახალი, როცა ის ოცი საუკუნის მერეც ახალია. როგორ უნდა იაზროვნო, რომ გააცნობიერო ჭეშმარიტი ღმერთი და ირწმუნო, როცა შენ გყავდა სალოცავი და საესავი, ცეცხლი იყო ის, მუხა თუ თეთრი მწვერვალი. უღმერთო რომ ყოფილიყავი, კი ბატონო, უღმერთო ადამიანი ადამიანი არაა და ოღონდ რწმენა გაიჩინო, ყველანაირ ღმერთზე ყაბულსა ხარ, მაგრამ შენს ღმერთზე მლოცველმა და მსასოებელმა (ღმერთს არ განსჯიან) შენ განსაჯე და ეჭვი შეგეპარა შენს ღმერთში, ჭეშმარიტებაში, რომლის უფლება არ გქონდა და აგერ, ჭეშმარიტი რომ შემოგთავაზეს, ის შენი უარყავი და ეს იწამე.

ესე იგი, ოცი საუკუნის წინათ ჩვენ შეგვწევდა გონი ჭეშმარიტი რწმენის შეცნობისა და უთუოდ მაცხოვრის მოციქულებსაც ამის იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ აქეთ მოაშურეს, სადაც მათი ეყურებოდათ, სადაც მოუსმენდნენ, გაიგებდნენ, სადაც ქვას არ ესროდნენ, სადაც ზეციურს სცნობდნენ და თავისსავე არაზეციურს ამჯობინებდნენ.

ვითომ დაფიქრებაც ვიცით, მაგრამ ფიქრებში ჩაძირვა და ჩაყურყუმალობა გვიჭირს, რაც უთუოდ ოცი საუკუნის წინ ხელგვეწიფებოდა.

დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და გაიაზრე, ეს ასე ხომ არ ხდება, ეს ხომ დახეული ჩოხა-ახალუხი არაა, რომ ახლით შეცვალო, ან ძველი ქოხი, რომ სრასახლი ამჯობინო. თუ, ფეხშიშველა მოციქულებს მოსყიდვა შეეძლოთ, ან მოქრთამვა... აქ ერთადერთი მათი იარაღი იყო, დიდი ღვთიური თუ არა, ღვთის გამგონი, გამგები აზროვნება და ენა... ენა და როგორი ენა... ისე, საყველპურო და საბაზრო-საჭორიკნო კი არა, საბიბლიო, სასახარებო, უდიდესი სიბრძნის გადმოსაცემი და გამგები, გამწვდომი ენა... ან მოციქულებს უნდა სცოდნოდათ ჩვენებური და ან ჩვენ – მათი, თორემ თარგმნილი და ხელნაწერი მაშინ ხომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

გვიფიქრია ამაზე?

დაფიქრდი, დაფიქრდი... კარგად დაფიქრდი და მარტო შენ კი არა, ჩვენ – ყველა. ასე რომ წამოვაპეტელებთ: მოვიდნენ ქრისტეს მოციქულები, გვიქადაგეს, უარვყავით კერპთაყვანისმცემლობა და მივიღეთ ქრისტიანობა... ასე ხელწამოკრულად და ჰაიჰარად რწმენის შეცვლა კი არა, პერანგის გამოცვლა არ ხდება. და მერე რამდენჯერ იყო, რომ ქრისტიანობას ცეცხლითა და მახვილით გვაცვლევინებდნენ, დედაბუდიანად გვჟლეტდნენ და არ ვქენით. თუ ღმერთი სულ ერთი იყო და ერთით მეორის შეცვლა შეიძლებოდა, გვექნა. თუ მაინცდამაინც, პირველად უნდა გაგვჭირვებოდა და მეორედ გაგვადვილებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა! არ მოხდა იმიტომ, რომ არაჭეშმარიტი ძალდაუტანებლად შევიცვალეთ ჭეშმარიტით და ჭეშმარიტი-გამანადგუ

იხ. მე-5 გვ.

კინოკოლორიტები

# იპოლიტე და სპარტა-

1970 წელს, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ძველ ბაზაზე, პირველ პავილიონში აშენებული გრანდიოზული ციხე-სიმაგრის დეკორაციაში, ოცდაოთხსაათიანი დატვირთვით მიმდინარეობდა კინოფილმ „დაისის“ გადაღებები. ფილმს კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი იღებდა, მასიურ სცენებში ასობით ადამიანი მონაწილეობდა, მთავარი როლების შესასრულებლად მსახიობთა დიდებული ნაკრები ჰყავდა მოწვეული: – ოთარ კობერიძე, ქართლოს მარადიშვილი, ნანა ყიფიანი, გივი ბერიკაშვილი, კოტე დაუშვილი...

მაშინ პავილიონს ვინ დაკეტავდა და მოაცდენდა, კინოსტუდიაში კინოცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, ის აუწერელი ენერგიული სამუშაო რიტმი და განწყობილება ახალგაზრდებს დღეს წარმოუდგენლადაც კი მოეჩვენებათ.



იპოლიტე ხვიჩია. კინოფილმი „განძი“.

„დაისისადმი“ ინტერესი იმდენად დიდი იყო, სტუდიის თანამშრომლები, მსახიობები, ისინი, ვისაც ამ პერიოდისთვის კინოგადაღებები დასრულებული ჰქონდათ და ახალი ფილმების გადაღებების დაწყებას ელოდებოდნენ და ისინიც, ვინც ახლა სხვა ფილმებში გადაღებებით იყვნენ დაკავებულნი, თავისუფალ დროს აქ მოდიოდნენ, სტუდიის ეზოში, პავილიონის სიახლოვეს მომყუდროებულ ადგილას ან სპორტულ მოედანზე იკრიბებოდნენ და კინოგადაღებების მსვლელობას ასე ბჭობა-მასლაათით შორიდან ადევნებდნენ თვალყურს.

კინოსტუდიის დიდი საპროექციო კინოდარბაზის კედლის კუთხეში, რომელშიც ამჟამად კინომსახიობთა თეატრია დაბინავებული, თეატრისა და კინოს ჩვენი დიდებული კომიკოსი მსახიობი იპოლიტე ხვიჩია თანატოლი კაცების ჯგუფში იდგა და თავსგადამხდარ კურიოზებს მთელი გატაცებით უამბობდა. ბატონი იპოლიტე კარგი მთხრობელი გახლდათ და, როგორც ჩანდა, ახლაც საინტერესო ამბის მოყოლით იყო გატაცებული, რადგან გარს შემოხვეული მსმენელები ჩაბჟირებულები იცინოდნენ და თავშეუკავებლად ხარხარებდნენ.

ხორხისმიერი ბოხი ხმა მოისმა.

სპარტაკ ბაღაშვილი მოდიოდა...

მოდიოდა, და თან, ვიღაცისა თუ რაღაცისა უკმაყოფილების გამო, ბრაზითა და ღელვით ბობოქრობდა...

სტიქიაში შესული იპოლიტე ხვიჩია და ის სხვა კაცები ამბის თხრობა-მოსმენით ისე იყვნენ გართულები, ბაღაშვილის ხმა არ გაუგიათ.

სპარტაკმა გამოიხედა, საკადრისი ყურადღება რომ ვერ მიიპყრო, გაჩერდა და გონებაში წამიერი ფიქრგაელვების შემდეგ, აქეთ წამოვიდა...

სპარტაკი მოდიოდა...

იპოლიტე კი – სტუდიის ცენტრალური შემოსასვლელისკენ ზურგით ისე იდგა, რომ იქიდან მომავალს ვინც უნდა ყოფილიყო, ნათელია – ვერანაირად დაინახავდა.

სპარტაკმა იპოლიტეს სიახლოვეს ნაბიჯი შეანელა: „კომედიის მეფევ იპოლიტე ხვიჩია, თავს ეგრე იაფად რად იგდებ, მაგ შარახვეტია ბერბიჭებს შენს თავზე რისთვის აცინებ-მეთქი და ირგვლივ კი ვერავის ამჩნევთ?“ – მეხივით დასჭექა, ვეებერთელა ხელის მტევანი მხარზე მოკიდა, და მსხვილი, ძლიერი თითებით ლავიწის ძვალში ჩაეჭიდა.

იპოლიტემ ტკივილისაგან ამოიგმინა და წაქცევისაგან თავი ძლივს შეიკავა. მკვეთრი მოძრაობით ბაღაშვილის ხელიდან თავი წამიერ გაითავისუფლა, და იქიდან, სად და როგორ გაქრა, თვალი ვერავინ მოჰკრა, მაგრამ აღარც იმ კაცთაგან, წეღან ასე გულიანად და ლაღად რომ ხარხარებდნენ, არც ერთი იქ არ დარჩენილა, იპოლიტე ხვიჩიას კვალს თვალთულანდავი უჩინმაჩინებივით გაჰყვნენ...

სპარტაკ ბაღაშვილი ჰეროიკული ხასიათის როლების უბადლო შემსრულებელ მსახიობთა რანგს ეკუთვნოდა. ცნობილი ამბავია, მიზეზთა გამო, ბოლოხანს, მძიმე ავადმყოფობა დასჩემდა, გრძნობდა ამას და საშინლადაც განიცდიდა. 1977 წლის ზამთარში მსახიობი უეცრად გარდაიცვალა. ერთნი ამბობდნენ – გზაზე წაიქცა, თავი ბორდიურს დაარტყა, ისე მოკვდაო, მეორენი იმასაც ამბობდნენ, ავარიაში მოჰყვა – ავტომობილი დაეჯახა, მძღოლმა ქუჩაში მიატოვა და გაიქცაო...

მაგრამ ჩვენ, აქ, ძიების არა, სხვა რამის თქმა გვსურს:

დიდი მსახიობის, ბატონი სპარტაკ ბაღაშვილის გარდაცვალების ამბავმა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელი კოლექტივი შეძრა და დაამწუხრა, ბევრს დანანებასთან ერთად უწრფელესი ცრემლიც მოჰგვარა.

იპოლიტე ხვიჩია ქართული თეატრისა და კინოს კომიკოს მსახიობად არის აღიარებული და ჭეშმარიტად, იმისი დიდი ნიჭი ნებისმიერი ქვეყნის სცენასა და ეკრანს დაამშვენებდა. პარადოქსია, მაგრამ სინამდვილე, საზოგადოების ერთ ნაწილში ასეთი გულუბრყვილო აზრიც კი დომინირებდა, თითქოს კომიკოსი მთელს თავის შეგნებულ ცხოვრებას, ასე, მხიარულებასა და ტაშ-ფანდურაში ატარებდა. არადა, ვინც ბატონ იპოლიტეს იცნობდა, კარგად უწყიან, ცხოვრებაში რაოდენ მგრძნობიარე ადამიანი ბრძანდებოდა იგი, მეგობრობაში შეუდარებლად ერთგულსა და უღალატო კაცს, სხვისი ჭირ-გასაჭირის, ტკივილისა და სევდის რაოდენი განცდა სჩვეოდა.

იმ ტკივილიან დღეებში კი – ძველი კინოსტუდიის შემოსასვლელში, საგაზეთო ჯიხურთან ვნახე ბატონი იპოლიტე ხვიჩია, ლაწვებზე ჩამომარგალიტებული ალალი მამაკაცური ცრემლის კურცხლებით:

„სპარტაკის დანაკლისმა გული მატკინა, უდიდესი მსახიობი და კარგი მეგობარი დავკარგეთო!“ – ჩიოდა იგი.

ბევრისთვის, მათ შორის, ჩემი თაობისთვისაც ბურუსით მოცული ეს ბევრად საინტერესო ამბავიც, რომელიც სპარტაკ ბაღაშვილის ხასიათთან დაკავშირებულ ერთ უცნაურობას გახსნის, ბატონი იპოლიტესაგან სწორედ მაშინ მაქვს მოსმენილი:

„ჩვევად ჰქონდა სპარტაკს (ეს ამბავი ყველა სტუდიელისთვის არის ცნობილი, ჩვენც ხშირად შევსწრებივართ, მაგრამ მიზეზი არავინ იცის და ახსნაც ვერავინ მოუძებნა), სასადილოში რომ შემოდიოდა, ყოველთვის – ორ ულუფა კერძს, ორი ბოთლი ლუდით უკვეთავდა. თავად მხოლოდ ერთ ულუფა კერძს და ბოთლ ლუდს მიირთმევდა. არადა, ადრე ჩემთვის ჰქონდა ნათქვამი და გეტყვით: მეგობარი ჰყოლოდა სპარტაკს თურმე გარდაცვლილი, და ამიტომაც, ფიცი იყო, შინაგანი რწმენა თუ რა, იმ მეორე ულუფა კერძსა და ბოთლ ლუდს, მაგიდაზე მუდამ ხელუხლებლად ტოვებდა ხოლმე იმის სახელზე“.

**რომან ამირეჯიბი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ეპისტოლე

# წერილები დაჩის

(მეოთხე გვერდიდან)

რებელი ძალადობითაც არა. და არაერთხელ იყო ამის მცდელობა და ყველა უშედეგოდ (ცურტაველის „შუშანიკის წამება“).

და ამით და უამრავი „ამით“ რა გვინდა რომ ვთქვათ, რომ ვაზროვნებდით, ჭკუა გვეკითხებოდა, წერა-კითხვა ვიცოდით და განათლება გვქონდა. არა მარტო შავსა და თეთრს ვარჩევდით (რაც არცთუ ისე იოლია!), ვარჩევდით ჭეშმარიტ ღმერთს არაჭეშმარიტისაგან და იმთავითვე ღრმადგანსწავლული თეოლოგებიც უნდა ვყოფილიყავით, რომ ისიც უნდა გვცოდნოდა, რაც მანამდე გვწამდა და ისიც, რაც მერე საესავად გავიხადეთ. ნურაფერს ვიტყვით ლიტერატურაზე, ნურც მეცნიერებაზე, რაზეც თავისთავად მარტო თეოლოგიის მეცნიერება მეტყველებს. ენისა და დამწერლობის ქონა და, თუ გნებავთ, სხვა ენებისა და ფილოსოფიების წვდომა. აღმოსავლეთის უძველეს კულტურას რომ თავი დავანებოთ, ძველი ბერძნების კულტურამ რომელ ქვეყანაზე არ მოახდინა კეთილშობილური გავლენა და უამისობა არც ჩვენ გვეთქმოდა, მაგრამ ზოგიერთებივით ხელცარიელი არ დავხვედრივართ და იმდენად ვიცოდით ავისა და კარგის გარჩევა, რომ ღმერთიც კი ჩვენსას მათი (თუმცა ღმერთი ყველასია) ვამჯობინეთ.

— კი, კი, კი... — დამეთანხმები და უკვე ხმამაღლა იკითხავ. — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჭამა-სმას და ამოდენა კულტურას, ცოდნას და განათლებას ერთმანეთთან რა ესაქმება?!

— აააი, ესაა საკითხავი!

— საკითხავია და გეკითხები.

— ჰოდა, მეც ამიტომ მოგახსენე...

— ჭამა-სმის გამოისობით?!. სმა-ჭამა აქ რა სახსენებელია!

— დიიიახ! დიახ და, იმად, რომ ამისა და იმის მცოდნემ, თვით ღვთის ჭეშმარიტებაზეც თვალმიწვდენილმა ვერაფერი გავიგეთ საკუთარი სტომაქის თაობაზე.

— რა ღმერთი გაგვიწყრა?!

— ააა, ეგაა რომ მაოცებს, აოცებდა და აოცებს ყველა ჩვენიანსაც და სხვებს ხომ თავისთავად.

— ჭამა-სმისა რომ არაფერი გაგვეგება?!

— არაფერი არანაირად არ გაგვეგება! არ გაგვეგებებოდა და არ გვეყურება. ვიყრით მუცელში, რასაც ვიშოვით და არ ვიშოვით, კაცი, ქალი, დიდი, პატარა, უწლოვანი და წლოვანი, ბებერი და ახალგაზრდა, თავმტკივანი და კუჭმტკივანი, უკბილო, უთავბოლო, უთაური და თავდადგმული. არ ვიცით მარხვა და ხსნილი. ქრისტიანობას ვიღებთ, გვწამს, ვლოცულობთ და ამავე დროს ვნთქავთ, რასაც მოვიხელთებთ. არსებობისთვის კი არ ვჭამთ, ვარსებობთ ჭამისთვის. ვსვამთ: ღვინის ჭიქით, ჩაის ჭიქით, ჯამით, ჭინჭილით, აზარფეშით, ყანწით, საყვავილე ვაზით, ქვიჯით, ლამპის შუშით, კაცის წუღით, ქალის ფეხსაცმლით, ბოთლით, დოქით, ქოთნით, ქვაბით, კოკით, ჭურით, საწნეხელით.. და რით არა... რით არა და გონს ისე ვკარგავთ, ვერაფრით ჭკუას ვერ მოვეგეთ, რომ ეს ამდენი სმა და ჭამა სასახელოდ, სასიქადულოდ, თავმოსაწონისად, საამაყოდ მაინც არ მიგვაჩნდეს... ვსვამთ ფუთ ღვინოს. აღმოსავლეთ საქართველოში ვაყოლებთ მთელ ცხვარს, დასავლეთში, გოჭს კიდევ რა უშავს — ბურვაკს.

როცა ყველა, ასე თუ ისე განვითარებულ ქვეყანაში სადილის სარჩევში („მენიუში“) მითითებულია ამა თუ იმ კერძის ყუათიანობა („კალორიულიბა“) და შენ რომ იცი, დღეს რისი მაქნისი ხარ, რა ძალა და ენერგია დაგჭირდება (უსაქმურობისთვის არ სწერია!), იმას ირჩევ, რომ ზედმეტი დაუხარჯავი არ დაგრჩეს და მუცელზე, უკანალზე, ნიკაპქვეშ და ტვინზე ქონი არ დაგედოს.

ყველას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ილიას ლუარსაბ თათქარიძის მერე ლუკმა... ზედმეტი ლუკმა როგორ გადაგვცდა?!. ბრძენკაცმა ასე, ლუარსაბივით და დარეჯანივით არ ჰქნათო და ჩვენ ისე ვშობით, როგორც არ უნდა ვქნათ.

ამას წინათ ერთი ჩემი კინაღამ მეგობარი თეთრი ნესვივით გამრგვალებული შემხვდა.

— საიდან სად-მეთქი?

— ახალი ეკლესიის კურთხევაზე ვიყავი და გამოგიარე. — ისე იყო დანაყრებული, სულს ძლივს ითქვამდა.

ხომ იცი ჩემი ამბავი, ენაზე არაფერი დამადგება, საძრახისი მტერსაც და მოყვარესაც პირში უნდა ვუძრახო.

— ნამეტანი დაგმართნია-მეთქი!

— ხომ იცი ჩემი ამბავი, „გურმანი“ ვარ.

— ე, გურმანი რაღაა?

— ეს... ის... რომ... როგორ გითხრა, ჩვენებურად...

— ჩვენებურად მუცელღმერთა ხომ არა?

— მთლად ასე არა. — მჟავე-მჟაველ ჩაიღიმილა და თვალები მიბლიტა.

— რანაირი მარხული ღმერთი ვიწამეთ და ეს მუცელღმერთობა საიდან სადა?

— ვითომ არ იცი... ეს ხომ ჩვენი ეროვნული...

— ეროვნული ღორმუცელობა, მსუნაგობა, თქვლეფა, ხეთქვა, ჩანთქმა, ყლურწვა, გლარჯვა...

„რა იცი რა გველის
ან დღეს, ან ხვალე,
მაშ, ხუხე ძმობილო,
სულ გამოცალე!

ესე იგი, თუ არ იცი, რა გელის „ან დღეს, ან ხვალე“, შეუსმელ-შეუჭმელი არაფერი უნდა გაუშვა?

— ასე გამოდისო!.. — ჩაკვეთილ რძიან ქოთანში წასწრებულ, თავჩარგულ კატასავით ამომხედა და ჩარბები და საულვაშე გაილოკა.

## თამაზ ბიბილური — 70

**დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა თვალსაჩინო ქართველ მწერალს, ჟურნალისტს და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ბიბილურს; ადამიანს, რომელმაც უდიდესი დრო და ენერგია მოახმარა ქართველი ხალხის კულტურული წარსულის კვლევას და მეზობელი ხალხის სულიერი ურთიერთკავშირის განმტკიცებას და დამსახურებულად გახდა არაერთი პრემიის ლაურეატი.**



# ეპიზოდები მწერლის ცხოვრებიდან

თამაზ ბიბილური დაიბადა 1934 წლის 9 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში (დედა — ნინო კასრელიშვილი პედაგოგი გახლდათ, მამა — ალექსანდრე ბიბილური ქსნის ერისთავთერისთავის დიდებული გვარის წარმომადგენელი იყო).

მშობლები საზოგადოებრივი საქმიანობით იყვნენ დაკავებული და მომავალ მწერალს ბებია ზრდიდა — ევა ქევხიშვილი. მას ჰყვარებია ლიტერატურა და ხმამაღლა უკითხავდა თურმე მეზობლებს ვასილ ბარნოვს, კარგად სცოდნია სახარებაც.

მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ მომავალმა მწერალმა, რომელიც მოსწავლეობისას დიდად იყო გატაცებული ლიტერატურითა და თეატრით, წარჩინებით დაამთავრა სოფლის სკოლა და როცა ჯერი პროფესიის არჩევაზე მიდგა, რეჟისორობაზე ოცნებას წერის სიყვარულმა სძლია და ჟურნალისტობა ირჩია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ის ჯგუფი, რომელშიც თამაზ ბიბილური მოხვდა, გამოირჩეოდა ნიჭიერთა სიმრავლით (თამაზ ბიბილური, ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე...). ეს ახალგაზრდები, რომლებმაც შემდგომში მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, „სამოციანელთა“ სახელით არიან ცნობილნი. ხანგრძლივი საბჭოური „კარჩაკეტილობის“ შემდეგ მათ მიეცათ შესაძლებლობა გასულიყვნენ საზღვრებს გარეთ, მოენახულებინათ ქალაქები, უძველესი კულტურის ნაშთები, უახლესი ცათამბჯენები. თუმცა მათ მაინც ვერ დაუჩრდილავს შატილის რუხი კოშკებით, სვეტიცხოვლით, ქართული ვენახით თუ ხეობებში ჩაკლაკნილი ბილიკებით გატაცება. მისი სტუდენტობის წლებში პირველად შეიკრიბა მწერალთა წრე, გამოვიდა ჟურნალი „პირველი სხივი“.

— „მაშინ ჩვენ ჭაბუკები ვიყავით, თავი მარადიულ ჭაბუკებად მიგვაჩნდა. სრულიად ბუნებრივად ვთვლიდით იმას, რომ წინ ჩაგვივლიდა გალაკტიონ ტაბიძე, ოდნავ ცერად გადმოგვხედავდა და შეამოწმებდა — ვუცქერდით თუ არა! ტალღასავით ჩამოიქროლებდა გიორგი ლეონიძე და თუ რომელიმე ჩვენგანს უკვე იცნობდა, რაიმე საალერსოს გადმოსძახებდა. არც ოლიმპიური თავდაჯერებით ყელმოღერებული კონსტანტინე გამსახურდია გვიკვირდა, არც ლეო ქიაჩელი, არც გერონტი ქიქოძე, თითქოს გვეგონა, რომ ცხოვრება მარადიული იყო და ისინი მუდამ ასე ჩაგვივლიდნენ წინ, რომ არაფერი შეიცვლებოდა“.

თამაზ ბიბილურმა 1956 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, მას მაშინდელ ახალგაზრდულ გაზეთში მიაქვს „საახალწლო ჩანახატები“, ნაახალწლევს კი, დეიდას ოჯახში, სადაც სტუდენტობა გაატარა, სწორედ იმ დროს, როცა ბიძა ახსენებდა, რომ ცხოვრება ია-ვარდით არ არის მოფენილი და თუ თავად არ მოიძიე სამსახური, შინ არავინ მოგაკითხავს მოსაწვევითო, კარზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის გიორგი გელაშვილის მძღოლი აკაკუნებს და რედაქციაში მიჰყავს თამაზ ბიბილური. გაზეთში „საახალწლო ჩანახატები“ ძალზე მოსწონებიათ და გადაუწყვეტიათ ლიტერატურული მუშაკის ადგილი შეეთავაზებინათ ჭაბუკისთვის. მალე იგი განყოფილების გამგე ხდება, შემდეგ კი რედაქტორის მოადგილე.

ჩვენ მწერლის მოგონებებს არ დავჯერდით და გავესაუბრეთ თამაზის მეუღლეს, ცნობილ ჟურნალისტს თიურა ვაშაძეს, რათა გაეხსენებინა ზოგიერთი ეპიზოდი:

***— დავიწყოთ იქიდან, როგორ გაიცანით ბატონი თამაზი და როგორი იყო პირველი შეხვედრა?***

— მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ჩვენმა დოცენტმა თამარ ბელინსკაიამ, ჟურნალ „ცისკრის“ ახალი ნომერი შემოიტანა და სამი ნოველა წაგვიკითხა, ჩემთვის მანამდე უცნობი მწერლის — თამაზ ბიბილურისა და მათი რუსულად თარგმნა დაგვავალა.

მოკლე ფრაზები, ლაღი მეტყველება, მომხიბვლელი უბრალოება, მშვენიერი ქართული საშუალებას იძლეოდა წინადადების რუსულად აგება არ გაგვჭირვებოდა, და პირველი ნაბიჯიც გადაგვედგა მთარგმნელობით საქმიანობაში.

***— როგორ შეაფასებთ თამაზ ბიბილურის შემოქმედებას?***

— ჩემთვის უხერხულია თამაზის შემოქმედების შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ვარ და მკრეხელობად არ ჩამეთვლება საზოგადოების წინაშე ჩემი აზრის გამოთქმა. უმჯობესია სხვათა აზრი მოვიშველიო, რომ თამაზ ბიბილური პოეტური პროზის ოსტატია. მის შემოქმედებაში დიდი სიმძაფრით არის წარმოჩენილი ადამიანის მარტოობა და მარტოობის დაძლევის გზაც — სიყვარული; ბიბილურის პროზა შინაგანი ტრაგიზმით არის დამუხტული. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ღრმა სულიერება, ერთგულება ტრადიციებისა და მარადიული ფასეულობებისადმი, უზადო ქართული, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნება დღეს ანალოგი, — ეს ცხადყოფს მის თხზულებათა ძალმოსილებას.

**მისი ჰობი:** ვინც თამაზს ახლოს იცნობდა, იმან იცის, როგორ უყვარდა მოგზაურობა. ფეხით ჰქონდა შემოვლილი ლამის მთელი საქართველო, მისი მთიანეთი. განსაკუთრებით უყვარდა ხევსურეთი და თუშეთი.

რაც შეეხება მის სიყვარულს თეატრისადმი, ესეც საყოველთაოდაა ცნობილი, რაც მის წერილებში კარგად ჩანს. აქვე დავუმატებ, რომ პირველ სატელევიზიო კონკურსში გამარჯვებული პიესები „ვიღაც გვეძახის“ და „მთვარიანი ღამის სტუმრები“ წარმატებით დაიდგა არა მხოლოდ სატელევიზიო თეატრში, არამედ დიდ სცენებზეც.

— ერთი სიტყვით, თამაზის შემოქმედებაში ძალიან ბევრი რამ არის საყურადღებო, ამოსაცნობი, — მეუბნება ქალბატონი თიურა და დასძენს: — ის, რაც მან შემოიტანა! და კიდევ ერთხელ: „ქამი კითხულისა“ იმ წლების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ამის შემდეგ იბეჭდება ასევე შესანიშნავი რომანი „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“, — რომლის მიხედვით ქართულ კინოში შეიქმნა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები.

მე კი დიდი სიამოვნებით შევუდექი დავალების შესრულებას და მწერლისადმი განსაკუთრებული სიმპათიით განწყობილი, მოკრძალებით ვეკითხები ქალბატონ თიურას.

***— პირადად როდის გაიცანით ერთმანეთი?***

— მეხუთე კურსიდან, როცა მე და ჩემი ექვსიოდე თანაჯგუფელი „ახალგაზრდა კომუნისტში“ გაგვამწესეს პრაქტიკაზე; თამაზი ამ დროს ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას უძღვებოდა და დიდ გულისყურს იჩენდა მომავალი კოლეგებისადმი.

რამდენიმე თვის შემდეგ მეც ამ შესანიშნავი ჟურნალისტური „ოჯახის“ წევრი გავხდი. მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე შემექმნა თამაზის პიროვნებაზე, ბოლომდე არ შეცვლილა — მისი ჭაბუკური გარეგნობა მისივე მშვენიერ სულს გამოხატავდა.

***— როგორც მკითხველი საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებია მწერლობას?***

— დიახ, გაზეთს დიდი დრო მიჰქონდა და თამაზი პროზისთვის ველარ იცლიდა, თუმცა, ჩემი აზრით, ამით არც მწერალს წაუგია, არც მკითხველს. მისი წერილები, ნარკვევები თუ ჩანახატები არანაკლებ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ჟურნალისტიკისათვის, ასევე მისი დიდებული პროზა მწერლობისათვის.

პირველი წიგნი იყო — ნარკვევებისა და მინიატიურების კრებული „ჩქარა“, რომელიც 1973 წელს გამოვიდა. ეს ის კრებულია, რომელშიც „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს მოუყარა თავი. მომდევნო წლის მარტიდან ის უკვე „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელი მდივანია (1981 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე კი ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილეა) და კიდეც იწყებს შემოქმედებით აღმავლობას პროზაში.

1975 წლიდან მკითხველის ხელთაა მისი მოთხრობების კრებული „ნიღაბი“, 1978 წელს — რომანი „ქამი კითხულისა“, „ჩივილი“, რომელმაც მწერალთა კავშირის პრემია მიიღო, „მთვარის შვილი“ (1981), „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“ (1984). 1989 წელს კი საყმაწვილო წიგნი „წელიწადის დრონი“ გამოსცა, რომელსაც სახელმწიფო პრემია ხვდა წილად. ამ წიგნიდან მწერლის მინიატიურები სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი.

* * *

დავუბრუნდეთ ისევ ყრმობის თეატრს... „ჩემი პირველი „თეატრალური შთაბეჭდილებები“ კავკასიონის მთები იყო“.

— თეატრი...

ამიერიდან ეს სიტყვა მის სულში სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს.

— „ცხადია; ვიდრე ისეთ გრანდიოზულ სანახაობას, როგორიც კახეთის თვალსაწიერიდან კავკასიონი და ალაზნის ველია, თეატრად აღვიქვამდი, რაღაც უკვე მენახა „ნამდვილ თეატრში“. მაგრამ „რაღაც“ უკვე ხსოვნას მიეფარა, ის ამაფორიაქებული „თეატრი“ კი, რომელსაც „კავკასიონს“ დავარქმევ, წარუხოცელად დარჩა“. და იქვე:

„მე არ ვიცი, დღეს რამდენად უყვართ სოფელში თეატრი, როცა ტელევიზორის ეკრანს პირდაპირ შინ მიაქვს გინდ „ლასკალას“ სპექტაკლი, გინდ ცირკი, არჩევანი ფართოა...“

**პოეტის ნათქვამი:** „გინახავთ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“. და გარშემოც ყველაფერი თეატრს უკავშირდება. ყოველი ცოტად თუ ბევრად ამაღლებული მოედანი სცენა იყო. დეკორაციები ხდებოდნენ გაზაფხულზე ახლად გამწვანებული ბუჩქები, რომლის წინაც „პატარა კახის“ შეყვარებულები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს“...

* * *

...ასეთი იყო ჩემი შეხვედრა თამაზ ბიბილურის შემოქმედებასთან მისი დაბადებიდან 70-ე წლისთავზე.

**ლიკა შონია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 88, კვირა, 18 აპრილი, 2004 წელი.

## წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე

# არა მხოლოდ შესასწავლად — საკვლევადაც

**წინ მიდევს სამ წიგნად გამოსული სახელმძღვანელო „ოპტიმალური და ადაპტური სისტემები“ — სამწიგნეული, რომელიც პირველივე შეხედვით თვალს სიამოვნებს, შემდეგი გადაფურცვლითა და ჩახედვით — გონებასაც. ეს არის ლამაზ ყდებში ჩასმული და ჯიშიანი ფურცლებისაგან კოხტად აკინძული ტომები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემული და მკითხველთა ფართო წრისათვის განკუთვნილი: სტუდენტები, ასპირანტები, შესაბამის დარგებში მომუშავე მკვლევარები და ინჟინრები, საერთოდ ყველა, ვინც დაინტერესებულია ოპტიმალური და ადაპტური სისტემების თანამედროვე თეორიის შესწავლით, დაუფლებითა და პრაქტიკული გამოყენებით.**

რასაკვირველია, სამივე წიგნი სახელმძღვანელოს სათაურის „განმარტებას“, „გაშლასა“ და „გამართლებას“ წარმოადგენს, მაგრამ მასობრივი მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, მოდით, უბრალოდ ჩავიხედოთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ და გავიხსენოთ: „ოპტიმალური“ ყველაზე ხელსაყრელს, შესაფერს, საუკეთესოს ნიშნავს, ხოლო „ადაპტური“ კი — შემგუებლურსა და შემწყობს. აი, როგორ სისტემებზეა, „პირველი მოსმენით“, საუბარი, თორემ მაგალითად, ადაპტური სისტემის ცნება, პოპულარულად, არცთუ იოლი განსამარტავია, მით უფრო, რომ როგორც ავტორები მესამე წიგნში „აღიარებენ“, არ არსებობს ადაპტური სისტემის ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრა...

გასულ საუკუნეში წარმოების განვითარების უზარმაზარმა მასშტაბებმა და დედამიწის რესურსების ამოწურვის საშიშროებამ დააყენა ენერგიის ოპტიმალური გამოყენებისა და სხვადასხვა სახის პროცესების ოპტიმალური მართვის პრობლემები ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ეკონომიკის, მრეწველობის, სამხედრო საქმის, კოსმონავტიკის, ეკოლოგიის დარგებსა თუ სფეროებში, ჰიდროსადგურებისა და წყალსატევების ფუნქციონირებაში და მიუხედავად ამ ვრცელი ჩამონათვალისა, სხვაგანაც. სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა ოპტიმალური და ადაპტური სისტემების შესწავლას. ასეთ სისტემებს უცხოურ ენებზე მრავალი მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო მიეძღვნა. ერთგვარად პარადოქსულიცაა, რომ მაშინ, როცა ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლავთ ჩვენი თანამემამულე, მოსკოვში ათეულობით წლის მანძილზე მცხოვრები და მოღვაწე, გამოჩენილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და რუსეთის, ადრე საბჭოთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) რევაზ გამყრელიძე, — ქართულად ამ დარგში ერთობ მწირი ლიტერატურა მოგვეპოვებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ქართველი მკითხველისთვის, კერძოდ, სპეციალისტებისთვის, მტკივნეული იყო ოპტიმალურ და ადაპტურ მართვაში ორიგინალური სახელმძღვანელოს უქონლობა. მისი შექმნა ურთულეს და კეთილშობილურ საქმედ წარმოდგა და სამი ავტორი ასეთ ეროვნულ საქმეს შეეჭიდა. ახლა, სახელმძღვანელოს გამოჩენიდან მეშვიდე წელს, მათ სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი შეჭიდება წარმატებული აღმოჩნდა: სამწიგნეულის თითქმის შვიდწლიანმა „ექსპლუატაციამ“, როგორც პედაგოგთა თუ ლექტორთა, ისე სტუდენტთა მხრივ, გვიჩვენა, რომ მასში დამაჯერებლადაა გადმოცემული და გაანალიზებული ოპტიმალური და ადაპტური მართვის სისტემებისთვის დამახასიათებელი საკითხები, ერთიანად და ეფექტურად არის წარმოდგენილი სტატიკური და დინამიკური ოპტიმიზაციის, ოპტიმალური თუ ადაპტური მართვის მეთოდები. რა თქმა უნდა, ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ სამივე ავტორი, სახელმძღვანელოს შექმნისას, ეყრდნობოდა მეცნიერული კვლევისა და პედაგოგიური საქმიანობის პირად მდიდარ გამოცდილებას.

სამწიგნეული ისეა შედგენილი, რომ მკითხველს შესაძლებლობა აქვს იყოს მისი გამოყენების პროცესის აქტიური მონაწილე. მკაცრი მათემატიკური ფორმულები და დამოკიდებულებები უკომპრომისოდ, უშეღავათოდაა გამოყენებული, მაგრამ როცა არჩევანი გასაკეთებელია ფორმალურ მათემატიკურ მოდელებსა და პრაქტიკულ რეალობას შორის, უპირატესობა მეორეს ეძლევა. რაკი სახელმძღვანელო, ძირითადად, საინჟინრო დარგების წარმომადგენლებისთვისაა განკუთვნილი, თეორემებისა და სხვა დებულებების მკაცრი მათემატიკური დამტკიცებების მოყვანას ავტორებმა ამჯობინეს მათი გამოყენების გზების აღწერა, როგორც რიცხვით მაგალითებში, ისე კონკრეტული ტექნიკური ამოცანების ამოხსნისას და სწორადაც მოიქცნენ.



სპეციალისტების აზრით, სამწიგნეული ფუნდამენტური ნაშრომია აღნიშნული სისტემების თეორიაში, რომლის მნიშვნელობა სცილდება სახელმძღვანელოს ფარგლებს და იმ დროისათვის თეორიის უკანასკნელ მიღწევებს შეიცავს, რომელთა შორის თვალსაჩინოა სამივე ავტორის მიერ მიღებული შედეგები. შექმნილია ეროვნული სახელმძღვანელო, რომელიც, კარგად მოფიქრებული მეთოდოლოგიური სტრუქტურის წყალობით, ერთნაირი წარმატებით გამოსაყენებელია სტუდენტებისა თუ მაგისტრებისათვის, ასპირანტებისა თუ მეცნიერი მუშაკებისათვის, საზოგადოდ, ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების მომარჯვებით დაინტერესებულ პირთათვის.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ძირითად ღირსებად სპეციალისტები მიიჩნევენ ყოველი თეორიული საკითხის ილუსტრირებას ტექნიკისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროდან აღებული მაგალითებით, რაც საგრძნობლად ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას.

ყველა ჩამოთვლილი ღირსების შეჯერება ბუნებრივად აჩენს ერთგვაროვან დასკვნას: სამწიგნეული ქართულენოვანი ტექნიკური ლიტერატურის ძვირფასი და, შესაბამისად, ფრიად საჭირო შენაძენია.

ოღონდ დროა, აქამდე „ინკოგნიტო“ სამი ავტორი წარმოვადგინოთ (ანბანური რიგით): პროფესორი **ალმასხან გუგუშვილი,** აკადემიკოსები **მინდია სალუქვაძე** და **ვახტანგ ჭინაძე.** რა დასანანია, რომ ბატონი ალმასხანი ცოტა ხნის წინათ წავიდა ცხოვრებიდან...

ბატონ მინდიას კი ორიოდ კითხვით მივმართეთ.

***— საინტერესოა ერთ-ერთი ავტორის შეხედულება სახელმძღვანელოს შვიდწლიან მოხმარებაზე...***

— რა გითხრათ, ეგებ ჩემთვის ცოტა უხერხულია ასე ლაპარაკი, მაგრამ რაკი მეკითხებით... მე ვიცი, რომ ჩვენს ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც ლექტორები, ვინც ამ საგანს უკითხავენ სტუდენტებს, ასევე მაგისტრები და ასპირანტები, რომლებიც თავიანთ კვლევით მუშაობაში იყენებენ სახელმძღვანელოში აღწერილ ხერხებს, მეთოდებს, განხილული ამოცანების ამოხსნის გზებს — ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. რაც შეეხება სტუდენტებს, ისინი ამბობენ, რომ კმაყოფილებით ამუშავებენ სახელმძღვანელოს, ადგენენ კონსპექტებს, აღარ ეძნელებათ საგნის აღქმა.

***— როგორ გაიხსენებდით განსვენებულ თანაავტორს?..***

— ბატონი ალმასხანი სამი თვეა, რაც გარდაიცვალა. მრავალი წელი წარმატებით უძღვებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის მართვისა და ავტომატიზაციის კათედრას, უნიჭიერესი მკვლევარი იყო, არაერთი მონოგრაფია და სახელმძღვანელო აქვს დაწერილი, მრავალმხრივი განათლების, ფართოდ ერუდირებული სპეციალისტი გახლდათ და უსპეტაკესი პიროვნება. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია მარტო ქართული ტექნიკური მეცნიერებისთვის კი არა, მთელი ჩვენი ინტელიგენციისთვის...

**თამაზ ეზანოიძე.**

# წიგნი და ავტორი

## გივი ბერიძის ნაშრომი მნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენია

**გივი ბერიძის წიგნი — „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები“ წარმოადგენს რჩეულ ნაშრომთა კრებულს. მასში თავმოყრილია 1964-1999 წლებში შესრულებული სამუშაოები, რომლებიც არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების აქტუალურ საკითხებს ეხება.**

წიგნში წარმოდგენილი ნაშრომები ქართულ და რუსულ ენებზეა დაწერილი. ისინი ნაშრომში ორ ნაწილადაა განაწილებული. ცალკეული ნაშრომები გამოქვეყნებულია ჟურნალებში, წიგნებში და მონოგრაფიებში. ტექსტი ილუსტრირებულია მრავალი ფოტოსურათით ნატურიდან და გრაფიკული ნახაზებით, რაც საგრძნობლად აადვილებს ნაშრომის აღქმას. წიგნის მხატვრული გაფორმება შესრულებულია მაღალ დონეზე და მოწონებას იმსახურებს.

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება არქიტექტურის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებს საქართველოში, — ეროვნული ხუროთმოძღვრების აღორძინების გზებს; არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების განვითარების პერსპექტივებს; დასახლებული ადგილების, კურორტებისა და ტურიზმის განვითარების ქალაქთმშენებლობის საკითხებს; საცხოვრებელი გარემოს ორგანიზაციის პრობლემებს; ჩამოყალიბებული კვარტალების რეკონსტრუქციის ძირითად მოთხოვნილებებს; საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების სისტემას და ქალაქების სამოსახლო ზონის ქალაქთმშენებლობითი ორგანიზაციის მეთოდოლოგიურ პრობლემებს. განსაკუთრებით ფასეულია ტექსტის ის ნაწილი, სადაც განმარტებულია ქალაქთმშენებლობის ტერმინები და ცნებები, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი კრიტერიუმებით.

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული სისტემების ქალაქთმშენებლობის პრობლემები, — ამიერკავკასიის უმსხვილესი ქალაქების შემოგარენში მასობრივი დასვენებისა და ტურისტული ზონების ორგანიზაციისა და პროექტირების მეთოდოლოგიური საკითხები; თბილისის მოსახლეობის ქალაქგარე ხანმოკლე დასვენების ზონების განვითარების ტენდენციები; დამუშავებულია დასასვენებელი დაწესებულებების დაპროექტების რეკომენდაციები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კურორტების, დასასვენებელი ადგილებისა და ტურიზმის კლასიფიკაციას; საქართველოში საკურორტო რეკრეაციული რაიონების ფორმირებას და მათი საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიას; ძირითადი ფაქტორების გამოვლენასა და მათ გავლენას საკურორტო-რეკრეაციული რაიონების ტერიტორიულ განთავსებაზე. ამ თვალსაზრისით დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს სპეციფიკური ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესწავლას და მათ ზემოქმედებას ქალაქების, კურორტების, დასასვენებელი ადგილებისა და საცხოვრებელ-საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებასა და მშენებლობაზე, მათი საბოლოო არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბებაზე.




აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა წლებში შესრულებულ ნაშრომთა ერთ წიგნად გამოცემის მიზანს შეადგენდა ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების — რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების თავმოყრა, რათა გაადვილებულიყო მათი გამოყენების შესაძლებლობა და დანერგვა პროექტირებისა და მშენებლობის პრაქტიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში მეცნიერულად დასაბუთებული შედეგები ინერგებოდა გამოცემულ საკავშირო და რესპუბლიკურ ნორმატიულ დოკუმენტებში, რომლებსაც იყენებდნენ საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სხვადასხვა დონისა და პროფილის საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების ჩატარებისას. ამ ნორმატიული და მეთოდური მითითებების დოკუმენტების შედგენაში და გამოქვეყნებაში აქტიურად მონაწილეობდა გ. ბერიძე, როგორც ერთ-ერთი ავტორი და რედკოლეგიის წევრი.

გამოცემულ წიგნში თავმოყრილი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების შედეგები უზრუნველყოფენ მეცნიერული პრინციპების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას და განაპირობებენ ტერიტორიის რაციონალურ ათვისებას, საჭირო მიწის ფართობების 15-20 პროცენტით შემცირებას, მშენებლობის რენტაბელობის 10-15 პროცენტით გაზრდას და, რაც მთავარია, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

წიგნში ისეთი პრობლემებიცაა განხილული, რომლებიც ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში არ მოიპოვება. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ წინა წლებში ავტორის მიერ გაშუქებული არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის გზები დღესაც ისეთივე სიმწვავით დგას, როგორც 25-30 წლის წინათ და მათ არ დაუკარგავთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

და ბოლოს, ცოტა რამ წიგნის ავტორის შესახებ: არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბერიძე წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისისა და მოსკოვის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-ექსპერიმენტულ ინსტიტუტებში, ხოლო 1988 წლიდან დღემდე თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „თბილარქთეორიის“ დირექტორია. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში. ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის გამოცემული აქვს 8 წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო), ავტორია მრავალი პროექტისა და განხორციელებული ობიექტებისა საქართველოში და საზღვარგარეთ.

გივი ბერიძე აქტიური მონაწილეა საქართველოში არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. მის მიერ ან მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევები სრულყოფენ რაიონული დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას. მან მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტული რაიონების ორგანიზაციის მეცნიერულ კვლევაში. ქართული სამეცნიერო სკოლის ამ მიმართულებას ის ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს.

გივი ბერიძე საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის არქიტექტურის, განათლების და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეა. ამავე დროს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს. 2004 წელს მას უსრულდება საპროექტო-შემოქმედებითი 55 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი, დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის მედლით „წარჩინებული შრომისათვის“, ღირსების ორდენით და მედლებით.

გივი ბერიძის წიგნი — „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები“, მნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენია, რომელიც ამდიდრებს სპეციალური, დარგობრივი ლიტერატურის ფონდს, სათანადო წვლილი შეაქვს ხუროთმოძღვრების თეორიასა და პრაქტიკაში.

წიგნი წარდგენილია საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. ჩვენი ღრმა რწმენით, გივი ბერიძე ნამდვილად იმსახურებს ამ აღიარებას.

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჭიდაობა

# ჰაპარანდა — იღბლიანი ქალაქი

## ედიშერ მაჩაიძე ათენის ოლიმპიადაზე იმსაჯებს

**შვედეთის ქალაქ ჰაპარანდაში ამას წინათ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები თითქმის ახალგაზრდული შემადგენლობით გაემგზავრა და კვარცხლბეკზე ასვლა ვერავინ შეძლო. თუმცა, ჩვენი დელეგაცია ხელმოცარული მაინც არ დაბრუნებულა – ექსტრა-კლასის არბიტრმა ედიშერ მაჩაიძემ ათენის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა, ანუ იგი მოხვდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) იმ 60 საუკეთესო არბიტრს შორის, რომლებსაც ელადის მიწაზე პლანეტის უძლიერესი ფალავნების ორთაბრძოლების მსაჯობა მოუწევთ.**

– ჰაპარანდა შვედეთის პატარა მყუდრო ქალაქია, – მითხრა ბატონმა ედიშერმა, – იგი ფინეთის საზღვართან მდებარეობს. შეჯიბრების მონაწილეთა და მსაჯთა ერთი ნაწილი ცხოვრობდა სწორედ ფინეთის პატარა ქალაქ კემის სასტუმროში. იგი თხუთმეტიოდე წუთის სავალზეა ჰაპარანდას სპორტის სასახლემდე, რომელიც ორი ათასამდე მაყურებელს იტევს.

ამ სასახლეში 30 წლის წინათ ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობაზე ვიჭიდავე და ფინალური შეხვედრა ბულგარელ მეტოქესთან ფრედ დავამთავრე. მსაჯებმა რატომღაც უპირატესობა მას მიანიჭეს, მე კი ვერცხლის მედალი მხვდა. თუმცა, ჩემთვის ეს მაშინ დიდი გამარჯვება იყო, საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული.

ჰაპარანდელებს არაფერი დავიწყებიათ: შეჯიბრების დაწყებამდე მასპინძლებმა მაჩვენეს ის ფურცელი, რომელზეც სამი ათეული წლის წინათ ხელი მომიწერია პრიზის მიღებაზე.

ჩემპიონატს მრავალი საპატიო სტუმარი ჰყავდა: ოლიმპიური თამაშების სამ-სამგზის გამარჯვებულნი – ალექსანდრ კარელინი და ალექსანდრ მედვედი, მსოფლიო ჩემპიონები – იუპანსონი, ანდერსონი და სხვები.



პირველად რომ გამომიძახეს სამსაჯოდ, ინფორმატორმა ყველას ამცნო, რომ მე ამ ხალიჩაზე 30 წლის წინათაც ვიდექი, ოღონდ როგორც მოჭიდავე. მაშინვე სტუმარ-მასპინძელთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ყველაზე სასიხარულო ჩემთვის მაინც ის იყო, რომ ასპარეზობის ბოლო დღეს ფინალური ორთაბრძოლების დაწყებამდე დაგვირიგეს ათენის ოლიმპიადაზე წამსვლელ 60 საუკეთესო მსაჯთა სია, რომელშიც ჩემი გვარიც იყო შეტანილი. არადა, ჰაპარანდაში 80 რჩეული არბიტრი სჯიდა ორთაბრძოლებს. ყოველდღიურად საშუალოდ 22-მდე შეხვედრას ვემსახურებოდით, რაც ძალიან გვღლიდა, მაგრამ შეცდომის დაშვების უფლება არავის გვქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გემბანს მიღმა აღმოვჩნდებოდით.

**– ჩვენი ფალავნების გამოსვლაზე რას იტყვით?**

– საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდული შემადგენლობით გაემგზავრა, რადგან ეროვნული გუნდის წევრები საოლიმპიადოდ ემზადებიან. ჩვენს ბიჭებს ცუდად არ უჭიდავიათ, უკეთესი შედეგების მისაღწევად, უბრალოდ, გამოცდილება არ ეყოთ.

**– ვიცი, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს რაფაელ მარტინეტის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ოფიციალური მოწვევა გადაეცით. რა გითხრათ?**

– ბატონი რაფაელი თანახმაა, თბილისში ჩამოვიდეს, ოღონდ დროზე არ შევთანხმებულვართ. ანკარაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე, შესაძლოა, ეს თარიღიც დაზუსტდეს.

**– ჩვენს დედაქალაქში დაგეგმილ „კლასიკოსთა“ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ხომ არაფერი უთქვამს?**

– მოგეხსენებათ, ამ ტურნირს თბილისის სპორტის სასახლე წლეულს ოქტომბერში უმასპინძლებს. უკვე დანიშნულია კომისარიც – რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ქართველ ფალავანთა დიდი მეგობარი სერბი ბრანკო სიმიჩი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო თასის თბილისში გათამაშების ინიციატორია ბატონი გოჩა ძასოხოვი, რომლის იდეასაც რაფაელ მარტინეტი უმალ დაეთანხმა. ეს ქართული საჭიდაო სკოლის აღიარებაც გახლავთ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: მარცხნიდან – ფილას ვიცე-პრეზიდენტი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ამერიკელი მარიო სალეტნიკი, ედიშერ მაჩაიძე და ფილას ბიუროს და მსაჯთა კოლეგიის წევრი, ეგვიპტელი ადელ მუსტაფა (ფოტო გადაღებულია ჰაპარანდაში).**

## სუმო

# „სადაურსა სად წაიყვან“...

**ბოლო წლებში საზღვარგარეთ მიგრაციის პროცესი ქართველ სპორტსმენებსაც შეეხო. ზოგი ჩვენი ათლეტი ამერიკაში გამოდის, ზოგი – ევროპაში, 23 წლის სოხუმელი ლევან ცაგურია კი ტოკიოში ცხოვრობს და პროფესიონალ სუმოისტთა მაღალი ელიტის რიგებში წარმატებით ჭიდაობს. ლევანი იშვიათად ჩამოდის სამშობლოში, მისი წარმატებების შესახებ, ძირითადად, უცხოური პრესითა და ტელევიზიით ვიგებთ... ლევან ცაგურია, რომელიც იაპონიაში „კოკაის“ (შავი ზღვა) სახელით ასპარეზობს, ახლა შვებულებაშია. გუშინწინ იგი საქართველოს სპორტის დეპარტამენტს ესტუმრა და პრესკონფერენცია გამართა.**



ადრე ლევან ცაგურია თავისუფალი ჭიდაობით იყო გატაცებული. მისი პირველი მწვრთნელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ელდარ კურტანიძის მსგავსად, დღეს რუსეთში მოღვაწე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შოთა კიკაბიძე ყოფილა. საქართველოში 1998 წელს შეიქმნა სამოყვარულო სუმოს ეროვნული ფედერაცია, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე გაიყვანა ჩვენი სპორტსმენები. სულ მალე ლევან ებანოიძემ გააკვირვა სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტულები მოიპოვა მძიმე წონით კატეგორიაში. მის მაგალითს მიბაძეს – „პროფესია“ შეიცვალეს სხვა მოჭიდავეებმა, მათ შორის – სოხუმელმა ლევან ცაგურიამ.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე შეისწავლა იაპონური ენა, იგი შეეჩვია იქაურ სამზარეულოს, ადათწესებს. პროფესიულ ასპარეზზე განსაკუთრებულ წარმატებას წლეულს მიაღწია – ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში გამართულ უმაღლესი დივიზიონის გრანდიოზულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. „კოკაიმ“ ტოკიოში 12-დან 8 ორთაბრძოლა მოიგო და უფრო მაღალი რანგის ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

პროფესიონალ სუმოისტთა მეორე ტურნირი, ანუ „მაშო“, როგორც მას უწოდებენ, ოსაკას 10-ათასიან სპორტულ დარბაზში გაიმართა. „კოკაიმ“ არც ამჯერად შეირცხვინა თავი და, ტრავმის მიუხედავად, 7 შერკინება მოიგო. დღეისათვის ლევან ცაგურია პროფესიონალ სუმოისტთა შორის (მისი წონა 150 კილოგრამია) მეცხრე ადგილზე იმყოფება.

– 26 აპრილს ტოკიოში გამოქვეყნდება ახალი რეიტინგი, – თქვა პრესკონფერენციაზე იაპონიის იმპერატორის პატარა თასის მფლობელმა ლევან ცაგურიამ, რისი მიხედვითაც უკეთესი ადგილი მექნება. ჩემი მიზანია, მალე მოვირჩინო ტრავმა და წლევანდელ სეზონშიც წარმატებით ვიასპარეზო.

**შალვა ქირია.**

## წყალბურთი

# ნახევარფინალში გავიდნენ

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება ჭაბუკ წყალბურთელთა რუსეთის პირველობა, რომლის ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის 6 გუნდი იბრძოდა, მათ შორის – თბილისის ნაკრები (იგივე „ლაგუნა ვერე“). ჩვენმა ახალგაზრდებმა სამი შეხვედრა მოიგეს – მოსკოვის „ბურევესტნიკთან“ (8:1) და „დინამოსთან“ (10:4), ასტრახანის ნაკრებთან (13:4), დაუზავდნენ ვოლგოგრადის „ლუკოილს“ (4:4) და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს ცსკასთან (5:6).



ქართველმა წყალბურთელებმა 7 ქულით ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

## ქართული ჭიდაობა

# „სამებობა“ – ახალსოფელში

მტრისგან განადგურებული სოფლის – ძველი გავაზის ნასახლარზე კარდანახელმა თავადმა ალექსანდრე აფხაზმა XVIII საუკუნეში დააარსა ახალსოფელი. დღეს 3500 ოჯახი სახლობს ყვარლის რაიონის ამ სოფელში (ანალოგიური სახელწოდების კიდევ 12 სოფელია საქართველოში).

ბრწყინვალე აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს, ყვარლის ახალსოფელი ტრადიციულად დღესასწაულობს „სამებობას“. წლევანდელ ზეიმზე კარგად წარმოჩინდა ქართული ჭიდაობა – სამდღიანი ტურნირი სოფლის სამი ტაძრის ეზოში გაიმართა და მას უამრავი მაყურებელი დაესწრო.

ტურნირის პირველ დღეს ქართულ ჭიდაობას ახალსოფლის იოანე ნათლიმცემლის ეკლესიამ უმასპინძლა, მეორე დღეს შეჯიბრება მარიამ ღვთისმშობლის IV-V საუკუნის ეკლესიის ეზოში მოეწყო, დასკვნითი ჭიდაობა კი სამების მშვენიერ საჭიდაო მოედანზე გაიმართა. სხვათა შორის, მოედნის გარშემო მიწაყრილის „ტრიბუნის“ მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა ქართული ჭიდაობის ოსტატმა გივი პოპოვმა („ლაბამ“), აგრეთვე, სოფლის მოსახლეობამ.

„სამებობის“ დასკვნით ჭიდაობას კახეთის სოფლებისა და თბილისიდან ჩასული დიდძალი გულშემატკივარი ესწრებოდა. ახალსოფლელ დამკვრელთა „საჭიდაოს“ ჰანგებზე ნახერხმოყრილ წრეში ერთმანეთს ერკინებოდნენ ფშაველი (თელავი), ჩუმლაყელი, ველისციხელი (გურჯაანი), ლელიანელი, კაბალელი (ლაგოდეხი) თუ სხვა სოფლებისა და რაიონების მოჭიდავეები, მათ შორის იყვნენ აზერბაიჯანელი და ლეკი ფალავნებიც. „სამებობის“ დღესასწაულში სამდღიანმა ქართულმა ჭიდაობამ 11 გამარჯვებული გამოავლინა, კერძოდ: მაგამედ ზამბურიევი (ჩანთლის ყური), შალვა რუაძე (ჩუმლაყი), გია კაპანაძე (ხაშური), გიორგი ყვენწაშვილი (ახალსოფელი), მუბარიზ ნიაზოვი (კაბალი), ილია მჭედლიშვილი (ახალსოფელი), ლექსო ვეფხვაძე (აკურა), გიორგი გოდერძიშვილი (ახალსოფელი), გიორგი ზუბიტაშვილი (შილდა), გიორგი მოდებაძე (ლელიანი). აბსოლუტურ წონაში იმარჯვა გიორგი ზუბიტაშვილმა (შილდა).



ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისათვის განკუთვნილი ცოცხალი პრიზი – ჭედილა გადაეცა 60 კილოგრამ წონაში გამარჯვებულ ახალსოფლელ ილია მჭედლიშვილს. ეს პრიზი დააწესა საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის კულტურული ტრადიციების მოძიებისა და თანადგომის კავშირმა „ლაზარემ“ (თავმჯდომარე – დიმიტრი დუნდუა).

ქართული ჭიდაობის ზეიმზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდების მოწმობა გადაეცა ახალსოფლის ჩოხიან (ქართული, ძიუდო, სამბო) მოჭიდავეთა თავკაც მწვრთნელს, ევროპის 1968 წლის ჩემპიონს ძიუდოში (70 კგ), ახალსოფლის მკვიდრს როინ მაღალთაძეს. სხვათა შორის, წლეულს ზაფხულში ათენის 28-ე ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ღირსებას დაიცავს ახალსოფლელი ძიუდოისტის როინ მაღალთაძის მოწაფე, ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით ქევხიშვილი.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სიტუაცია

# გამოსავალი — საჭადრაკო პროფკავშირი?

**ის, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია (ფიდე) დიდ სიძნელეებს აწყდება, სავსებით ცხადია. ერთის მხრივ, ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში, მეორე მხრივ, ცდები, მას დაუპირისპირონ ფიდეს ჩემპიონი, გაერთიანების საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივები... ასეთ ვითარებაში მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება ახალი საერთაშორისო გაერთიანება — საჭადრაკო პროფესიონალების ასოციაცია (აშპ). უკვე 2003 წლის სექტემბრიდან დიდოსტატებმა მასში მასობრივად დაიწყეს გაერთიანება, ამ პირველი საჭადრაკო პროფკავშირის პირველ პრეზიდენტად კი პოპულარული ახალგაზრდა დიდოსტატი ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) აირჩიეს. „ჩვენ თვითონ უნდა წარვმართოთ ჩვენი ბედ-იღბალი, — აცხადებს ლოტიე.**

***— რას ფიქრობს ჟოელ ლოტიე ჭადრაკზე, მის აწმყოსა და მომავალზე? — როგორ უყურებთ დღეისათვის საჭადრაკო სამყაროში შექმნილ სიტუაციას? რა ვუწოდოთ მას — დრამატული, ტრაგიკული, შეიძლება კომიკურიც...***

— რაც გნებავთ, ოღონდ ნორმალურს ვერ დავარქმევთ. ჩვენ არც მსოფლიო ჩემპიონატები გვაქვს, არც კალენდარი, არც სერიოზული ტურნირები. დაგვრჩა ორი-სამი ტრადიციული შეჯიბრება, ისინიც დაცემის გზაზე არიან. თუკი ასეთი სიტუაცია კიდევ ორი წელი მაინც გაგრძელდა, მაშინ მეტი გზა აღარ დაგვრჩება, სხვა პროფესია უნდა ავირჩიოთ.

***— სპორტის ნებისმიერ სახეობაში მთავარი მაინც მსოფლიო ჩემპიონატია. რატომ შეექმნა ჭადრაკში ამდენი პრობლემა მსოფლიო პირველობის გამართვას?***

— 1993 წელს ჩემპიონმა კასპაროვმა და პრეტენდენტმა შორტმა გადაწყვიტეს, თავიანთი მატჩი ფიდეს გარეშე გაემართათ, ამას კი საჭადრაკო სამყაროს გახლეჩა მოჰყვა... მართალია, იყო რამდენიმე შედარებით კარგი წელი, როცა კასპაროვმა ჩამოაყალიბა **პშა** (პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია) და ამ ახალმა ორგანიზაციამ მოაწყო მისი მატჩი ანანდთან, აგრეთვე, რამდენიმე ტურნირი გრან-პრის სერიით. შემდეგ მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მსოფლიოს ერთი ჩემპიონიც კი აღარ დაგვრჩა.

2002 წლის გაზაფხულზე პრაღაში მოილაპარაკეს (არ ვიცი, კარგი იყო ეს თუ ცუდი), რომ კრამნიკი შეხვდებოდა დორტმუნდის ტურნირში გამარჯვებულს (ოდნავ მოგვიანებით ეს უფლება ლეკომ მოიპოვა), პონომარიოვი — კასპაროვს. ამას მოჰყვებოდა ამ მატჩებში გამარჯვებულთა შეხვედრა და საჭადრაკო სამყაროსაც ერთი ჩემპიონი ეყოლებოდა. ამასთან, დაივიწყეს ანანდი, რომელსაც ყველანაირი უფლება ჰქონდა, ებრძოლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ამის შემდეგ მთელი ორი წელი გავიდა, კრამნიკმა და ლეკომ მხოლოდ ახლა გამოაცხადეს, რომ მატჩს ითამაშებენ, ხოლო პონომარიოვ-კასპაროვის მატჩი საერთოდ ჩაიშალა, თუმცა ისე ჩანდა, რომ აქ ფიდეს რაიმე პრობლემა არ უნდა შექმნოდა.

***— ეტყობა, სწორედ ყოველივე ამან განაპირობა თქვენი ახალი ორგანიზაციის — საჭადრაკო პროფესიონალების ასოციაციის შექმნა. აქ მთავარი ესაა — ხედავს კი თქვენი გაერთიანება ჩიხიდან გამოსვლის კონკრეტულ გზას?***

— ფიდე უკვე კარგა ხანია ვერ ართმევს თავს მსოფლიო პირველობების მწყობრი ციკლის ორგანიზაციას, ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, ხან პრეტენდენტების მატჩებს მართავს, ხან ნოკაუტ-ჩემპიონატს, ხან რაღაც გამაერთიანებელ მოდელს ქმნის. საკითხებს, რომელნიც მსოფლიო პირველობას ეხება (პირველ რიგში — მოთამაშეებს, პროფესიონალებს) წყვეტენ ჭადრაკიდან შორს მდგომი ადამიანები. რატომ უნდა გადაწყვიტონ მათ ჩვენს მაგივრად, რა სისტემით ვითამაშოთ, როდის, ვისთან? რატომაა, რომ ფიდე არ ეთათბირება მოჭადრაკეებს? როგორ მოხდა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება კასპაროვის „განსაკუთრებულ სტატუსზე“ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში?!

დიდოსტატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს **აშპ**-ს შექმნაში, მიუღებლად თვლიან დღევანდელ სიტუაციას და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ პროფესიული ჭადრაკის უმნიშვნელოვანესი საკითხები თვით მოჭადრაკეებმა უნდა გადაწყვიტონ.

იდეალზე თუ ვილაპარაკებთ, ჭადრაკშიც შეჯიბრებების ისეთივე სისტემა უნდა შეიქმნას, როგორც ეს ჩოგბურთშია მიღებული. როგორც ცნობილია, ჩოგბურთის სეზონი იანვარში იწყება და ნოემბერში მთავრდება. წლის ბოლოს შედეგებს აჯამებენ, გამოავლენენ რვა უძლიერესს, რომლებიც შემდეგ „მასტერსის“ ტურნირში გამოდიან. აქ გამარჯვებული კი უკვე წლის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. ჩვენ ახლავე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რათა მსოფლიოში საჭადრაკო შეჯიბრებების ერთიანი ბადე შევქმნათ. თუ ამ გეგმის რეალიზაცია შევძელით, მაშინ ერთიან საჭადრაკო „სეზონს“ მივიღებთ, სადაც თითოეულ ტურნირს თავისი მნიშვნელობა ექნება — ისევე, როგორც ეს ჩოგბურთშია. ჩვენ საშუალება გვექნება გამოვარკვიოთ — ვინ არის წლის უძლიერესი მოთამაშე.

გარდა „კლასიკური“ ციკლისა, შევეცდებით მოვაწყოთ ტურნირები სწრაფ ჭადრაკშიც. როგორც ცნობილია, ისინი უფრო შეეფერება ტელევიზიას. გარდა ამისა, საჭიროა მუშაობა მოჭადრაკეებთან, რათა მათ მეტი ყურადღება მიაქციონ და კარგი ფულიც გადაუხადოს. თვით მოჭადრაკეებმაც ამის სანაცვლოდ რაღაც უნდა გააკეთონ. უფრო ხშირად უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა პრესასთან, აუხსნან, რას აკეთებენ, რატომ არის ჭადრაკი ასე საინტერესო (ჩვენ კი ვიცით, მაგრამ აუცილებელია მაყურებელსაც ავუხსნათ გასაგები ფორმით). მოჭადრაკემ თავის გარეგნობასაც უნდა მიაქციოს ყურადღება. აღარ უნდა გვხვდებოდნენ გაუპარსავი, ისე სასხვათაშორისოდ ჩაცმული მოჭადრაკეები. ახლა სპონსორების მდგომარეობაც წარმოვიდგინოთ. ვინ მისცემს ფულს ადამიანებს, რომლებიც დარბაზში სპორტული ტანსაცმლით, გაცვეთილი სვიტერებით მოდიან? როცა სცენაზე არა ხარ, ისე იცხოვრე, როგორც გსურს, მაგრამ შენს სამუშაო ადგილზე მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდე.

თუკი ტურნირების ციკლის საკითხს მოვაწესრიგებთ, მოვიზიდავთ სპონსორებს, დავამყარებთ კავშირს ტელევიზიასთან (ისეთს თუ არა, როგორიც სპორტის სხვა სახეობებშია,



ჟოელ ლოტიე.

მაგრამ მაინც), მაშინ ფული გვექნება.

მეტსაც გეტყვით — თუკი ფიდე ვერ შეძლებს საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტას, მაშინ **აშპ** ამ საკითხის მოგვარებასაც შეეცდება. ახლა უკვე არსებობს ალტერნატივა — თუ სპონსორს არ სურს საქმე ჰქონდეს ფიდესთან, **აშპ**-ც ხომ არსებობს.

***— აქ ერთი, წმინდა იურიდიული მომენტიც არის: პრაღაში დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ ამიერიდან წოდება „მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში“ მხოლოდ ფიდეს ეკუთვნის (ამ დოკუმენტს ხელი გარი კასპაროვმაც მოაწერა და ვლადიმირ კრამნიკმაც), რომელიც სეოკის მიერ აღიარებული ხელმძღვანელი საჭადრაკო ორგანიზაციაა.***

— იმ დროიდან მოყოლებული, პრაღის ხელშეკრულებების ერთი პუნქტიც რომ არ შესრულებულა! ამ ქაღალდებს ჩალის ფასი აქვს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ჩვენ კი მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მსოფლიო ჩემპიონის წოდებასთან დაკავშირებით მსგავსი მდგომარეობა იყო ჩოგბურთში. 70-იან წლებში პროფესიონალი ჩოგბურთელები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ საერთაშორისო ფედერაციის მუშაობით. მაშინ ისინი შეიკრიბნენ, ჩამოაყალიბეს ახალი ორგანიზაცია — **ატპ** და დაიწყეს კომერციული ტურნირების გამართვა, თუმცა ფედერაციისათვის მსოფლიო ჩემპიონის წოდება არ ჩამოურთმევიათ. ამიერიდან ვლინდებოდა „წლის საუკეთესო მოთამაშე“ სეზონის შედეგების მიხედვით. იმის გამო, რომ **ატპ**-ს ტურნირები უძლიერეს შემადგენლობებს იკრებენ, „მსოფლიო ჩემპიონის“ წოდებას, უბრალოდ, აზრი დაეკარგა. ახლა ჩვენც გვაქვს **აშპ,** ტურნირების გამართვის უფლებაც, ისე რომ, ამ სიტუაციაში შეიძლება ფიდეს ანგარიში აღარ გავუწიოთ.

***— ისევ რამდენიმე სხვადასხვა ჩემპიონი ხომ არ გვეყოლება?***

— რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონის პრობლემა იმიტომ გაჩნდა, რომ არ არსებობდა სისტემა, რომელიც ყველა უძლიერესს მოუყრიდა თავს. ამიტომაც, თითოეული მხარე აცხადებს: „ჩემი მსოფლიო ჩემპიონატი უფრო ლეგიტიმურია“. ერთი ვერსიით „მალლა“ იყო კასპაროვი, რომელსაც არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა ფიდესთან, მეორე მხრივ კი ნოკაუტ-ჩემპიონატები გაჩნდნენ.

თუკი ჩვენი ასოციაცია ტურნირებში უფრო მაღალ საპრიზო ფონდს უზრუნველყოფს, თანდათანობით მათ მეტი მნიშვნელობა მიენიჭებათ, ვიდრე ფიდეს მიერ გამართულ შეჯიბრებებს და ელიტაც გადაწყვეტს, სად ითამაშოს.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა.**

## თაობა

**ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე, როგორც გაუწყეთ, ვაჟთა შორის 7 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით IV ადგილი დაიკავა ტურნირში მონაწილე ერთადერთმა გოგონამ — 13 წლის სოფიკო გურამიშვილმა. მე-7 ტურის დაწყებამდე ასპარეზობის ლიდერმა თორნიკე სანიკიძემ მეტოქე ქალიშვილს ვარდი აჩუქა, თუმცა, ბოლომდე ვერ გამოიჩინა „ჯენტლმენობა“ და ის პარტია მოუგო, რითაც, ფაქტობრივად, ჩემპიონობა გაინაღდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფიკოს ეხსნებოდა გზა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ. მით უმეტეს, რომ მან ბოლო ორ პარტიაში გაიმარჯვა.**

# მორიგი გაჩერება — ჯაკარტა



**სოფიკო გურამიშვილი 1991 წლის 1 იანვარს დაიბადა. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელია. ჭადრაკის თამაში 4 წლისამ ისწავლა. ჯერ მაყვალა ხანთაძესთან მეცადინეობდა, რამდენიმე წელიწადია, გოგი მაჭარაშვილი ავარჯიშებს. შეჯიბრებებში 1997 წლიდან მონაწილეობს. შოთა ინწკირველის, ვახტანგ ქარსელაძის, თეიმურაზ ლომაიას და ოთარ თურქესტანიშვილის მემორიალების გამარჯვებული და პრიზიორია. შავი ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალებზეც არაერთხელ დაიკავა I-III ადგილები. თბილისის პირველობებზე სამჯერ (10, 12 და 16-წლიანებში) გაიმარჯვა, ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა, 2001 წლის საქართველოს ჩემპიონია ათწლიანებში. შარშან და შარშანწინ ვერცხლის მედლები ხვდა თორმეტწლიანებში, ხოლო 14 და 16-წლიანებში III-IV ადგილები გაიყო. შარშანვე მიენიჭა ქალებში საქართველოს სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და ფიდეს ოსტატის წოდებები. 2003 წელს ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი ერგო, მსოფლიო პირველობაზე კი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

— ჩემთვის ყველაზე შედეგიანი შარშანდელი წელი იყო, — მითხრა სოფიკომ. — თუმცა, ევროპის პირველობა კურიოზით დაიწყო: ბუდვაში, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართა, წინა ღამით სამ საათზე ჩავედით. ცუდ სასტუმროში მოგვათავსეს. თითქმის უძინარი მივუჯექი პირველი ტურის პარტიას. შუა თამაშში მორიგ სვლაზე ფიქრისას ჩამეძინა. თხუთმეტიოდე წუთი ვიყავი უძრავად. ეტყობა, მეტოქეს მოსწყინდა უსაქმოდ ყოფნა და წამოდგომა რომ დააპირა, ხმაურზე გამომეღვიძა. კარგი პოზიცია მქონდა და ის პარტია მოვიგე.

***— მსგავსი „მეთოდისთვის“ სხვა ტურებშიც ხომ არ მიგიმართავს?***

— (ეცინება) არ დამჭირვებია. ზედიზედ ოთხი პარტია მოვიგე, ბოლო ხუთ პარტიაში კი ორჯერ დავმარცხდი რუსეთელ ანასტასია ბონდარუკთან და ალიონა ტაიროვასთან, რომლებმაც, შესაბამისად, პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. 7 ქულით მესამე ადგილზე გავედი.

***— სერბეთიდან თბილისში დაბრუნება რატომ დაგიგვიანდათ?***

— სასტუმროს უფროსმა შეცდომით სხვა აეროპორტში გაგვიშვა. იქიდან დროულად ვერ დავბრუნდით და თვითმფრინავმა გაგვასწრო, თან ვიზის დროც ამოიწურა. ქალბატონმა ნინო გურიელმა გაგვიწია დიდი დახმარება: სერბებს სამი დღით გააგრძელებინა ვიზის ვადა და სასტუმროშიც ლტოლვილებად მიაღებინა ჩვენი თავი.

***— საბერძნეთშიც ხომ არ შეგმთხვევიათ მსგავსი რამ?***

— ჰალკიდიკში მსოფლიო პირველობაზე კარგი პირობები გვქონდა. ტურნირიც იღბლიანად დავიწყე — 6 პარტიიდან ექვსი ქულა მოვაგროვე. სხვათა შორის, საბერძნეთში ბონდარუკსა და ტაიროვაზე ვიყარე ჯავრი — ორივეს მოვუგე. თუმცა მეც დავმარცხდი ჩინელ დინგ უიხინთან, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. მე კი საბოლოოდ მეორე ადგილი დავიკავე...

***— სოფიკო, ბოლო დროს უფრო ხშირად ვაჟებთან თამაშობ. იუდით პოლგარს ხომ არ ბაძავ?***

— ვაჟებთან შეჯიბრების დროს დაძაბული არა ვარ, რადგან წაგების არ მეშინია. თანაც, ბიჭები უფრო ძლიერად თამაშობენ და მათთან შეხვედრა უფრო საინტერესოა. მე ჩემს ასაკში მსოფლიო და ევროპის პირველობების საგზურები მოპოვებული მაქვს, ამიტომ მწვრთნელი უფლებას მაძლევს, ბიჭებთან ორთაბრძოლაშიც გამოვცადო ძალა.

***— წლეულს რომელ შეჯიბრებებში აპირებ მონაწილეობას?***

— ცხადია, ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, რომლებიც თურქეთსა და საბერძნეთში გაიმართება. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფესტივალშიც ვიასპარეზებ. ერთი საინტერესო წინადადებაც მივიღე ამ დღეებში. შარშან მსოფლიო პირველობაზე ჩემს ასაკში უთამაშია ინდონეზიიდან ვინმე ირინა კარიშმა სუკანდალის, რომელიც არ მახსოვს. მის მწვრთნელს კრისტინაუს ლეიმს სურს, შევხვდე ამ გოგონას ამხანაგურ მატჩში. შეჯიბრებას ივნისში ჯაკარტა უმასპინძლებს. ორი კაცის მგზავრობისა და ინდონეზიის დედაქალაქში ცხოვრების ხარჯებს თავად კისრულობენ. თუ დავთანხმდები, ჰონორარსაც მპირდებიან.

***— იმედია, უარს არ იტყვი.***

— (ეცინება). ამგვარი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ამირან ლობჟანიძე — 65

# ოვალური ბურთის დიდოსტატი

**სტაჟიან გულშემატკივრებს, იმედია, ახსოვთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან როგორ იკვლევდა გზას ქომაგთა გულებისკენ სპორტის ჩვენთვის ახალი სახეობა — რაგბი. ამ საქმის პიონერთა შორის ერთ-ერთი პირველი ამირან ლობჟანიძე გახლდათ.**



ჭაბუკობისას სპორტის რამდენიმე სახეობაში სცადა ბედი. ერთხანს საქართველოს მძლეოსანთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტთა პირველ გუნდში თამაშობდა. ფეხბურთშიც მოსინჯა ძალები და წარმატებითაც — თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში ჩარიცხეს, ოფიცერთა სახლის გუნდის ღირსებასაც იცავდა. ვინ იცის, სპორტის კიდევ რომელ სახეობაში გადაინაცვლებდა, სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი რომ არ გამხდარიყო. ბიძამისი — თედო სხირტლაძე ამ უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრის გამგე გახლდათ. სწორედ მან ურჩია ბატონ ამირანს, ვარჯიში დაეწყო ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულ მორაგბეთა გუნდში, რომელსაც ქაკ ასპეკიანი ავარჯიშებდა. ოცი წლის ყმაწვილმა ყურად იღო ბიძის რჩევა. პირველსავე მეცადინეობაზე მოეწონა სპორტის ახალი სახეობა, მონდომებით შეუდგა წვრთნას. 1961 წელს თბილისში გამართულ პირველ ტურნირში იასპარეზა. მისმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია მომდევნო წელსაც. სამი წლის განმავლობაში ამირან ლობჟანიძე ისე დაოსტატდა, რომ 1963 წელს მიიწვიეს თბილისის „განთიადში", რომელიც პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილზე გავიდა.

1964 წლიდან ბატონი ამირანი ჯერ თბილისის „ლოკომოტივის" ღირსებას იცავდა ორესტი დიმიტრიადის, ჯემალ ბერაძის, ზაურ მგელაძის, ნოდარ ყიფიანის, გოგი ტონიას, სერგო ხაჭაპურიძის, ბიძინა პეტრიაშვილის, რაჟდენ ენუქიძის, გიორგი ყუფარაძის და სხვათა გვერდით, მერე კი დედაქალაქის „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს 1966 წელს საბჭოთა კავშირის მორაგბეთა საცდელ პირველობაზე მეორე ადგილი ერგო. სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობების არაერთგზის გამარჯვებულია. წლების განმავლობაში თავგანწირული თამაშითა და მაღალი ოსტატობით გულშემატკივრებს ხიბლავდა.





საგულისხმოა, რომ ამირან ლობჟანიძემ ლელობურთში არაერთ წარმატებას მიაღწია. საქართველოს ჩემპიონმა სპორტის ამ სახეობაში ოსტატის წოდებაც დაიმსახურა.

ბატონ ამირანს აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი რაგბისთან. სისტემატურად ვარჯიშობს ვეტერანებთან ერთად და ტურნირებშიც მონაწილეობს. 1990-91 წლებში მან ითამაშა ჰოლანდიელთა წინააღმდეგ, ორჯერ ვეტერანთა საკავშირო პირველობა მოიგო საქართველოს ნაკრებთან ერთად, 2001 წელს ფრანგი მაყურებელიც მოხიბლა ტულუზაში საერთაშორისო ფესტივალზე.

წლების განმავლობაში მქონდა ბედნიერება, ამირან ლობჟანიძის გვერდით მეთამაშა. ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, იგი გახლდათ არა მარტო ძლიერი მორაგბე, არამედ კაცობის ეტალონიც. სწორედ ბატონმა ამირანმა და მისმა თაობამ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი ქართულ რაგბის, რომელიც დღეს საერთაშორისო სარბიელზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ამირან ლობჟანიძე უაღრესად სპეტაკი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლავთ. მას ეამაყება, რომ თბილისის პირველ სკოლაში მისი თანაკლასელები იყვნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ძალოვან სტრუქტურებში პასუხსაგებ თანამდებობებზეც იმუშავა, მიენიჭა პოლიციის პოლკოვნიკის წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ამჟამად საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტია.

მეოჯახე კაცს, სამი შვილის მამას და პატარა ამირანის ბაბუას — ამირან ლობჟანიძეს, რომელიც მხნედ და ჭაბუკად გამოიყურება, ამ დღეებში 65 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**ცეზარ (გურამ) დარჩია,**
**ვეტერანი მორაგბე, სსრკ სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

**სურათებზე: 1963 წლის „ლოკომოტივის" გუნდი (I რიგში მარჯვნიდან პირველი ამირან ლობჟანიძე); თბილისისა და ლენინგრადის დინამოელთა მატჩის ეპიზოდი — წინა პლანზე — ამირან ლობჟანიძე.**

## საფეხბურთო მოზაიკა

### არნახულ დაუმორჩილებლობას არნახული ჯარიმა მოჰყვა



**„რომას" მესვეურებმა არნახული ჯარიმა დააკისრეს იტალიის ნაკრების მცველ კრისტიან პანუჩის.** იგი არ დაემორჩილა „რომას" მწვრთნელ ფაბიო კაპელოს, რომელმაც ფეხბურთელს მინდორზე შემცვლელად გამოსვლა მოსთხოვა, რაც პანუჩიმ იუკადრისა. ასეთი საქციელისთვის მცველი 120 ათას ევროს გადაიხდის.

### სამი მიზეზი

**რატომ იცვლიან ფეხბურთელები მოქალაქეობას? რა აიძულებთ მათ მიიღონ ესოდენ პასუხსაგები გადაწყვეტილება?**

ამ კითხვაზე, მიმომხილველთა აზრით, სამი პასუხი არსებობს.

პირველი: უმაღლეს დონეზე თამაშის შესაძლებლობა. პელეს განცხადებით, ბრაზილიაში იმდენი დიდი ფეხბურთელია, რომელთაგანაც რამდენიმე თანაბარი ძალის ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება შეიძლება, თითოეული კი მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების არცთუ ერიგო შანსს ინარჩუნებს. აი, ამიტომაც აღმოჩნდა ალექსი იაპონიაში, ფრანსილეუდო დოს სანტოსი — ტუნისში, გერმანიის ბუნდესლიგის უძლიერესი სნაიპერი აილტონი — ყატარში.

მეორე: ამას ფეხბურთელები გამდიდრების მიზნით აკეთებენ. იმავე აილტონმა ყატარის შეიხებისაგან „მიწვევის თანხა" — მილიონი დოლარი მიიღო, წლიური ხელფასი კი 400 ათას დოლარს შეადგენს. იგივე დიდი თანხის მიღების გამო ნიგერიელი ოლისადებე პოლონელი აზნაური „პან ჩერნიავსკი" გახდა.

მესამე: თავისი ისტორიული სამშობლოს ნაკრებში თამაშის სურვილი. აფრიკის თასის უკანასკნელ გათამაშებაში ტუნისის ღირსებას იცავდნენ საფრანგეთის მოქალაქეები ადელ შედლი და შაუკი ბენ საადი. ფიფა სწორედ ამ მესამე შესაძლებლობას თვლის ყველაზე მისაღებად და ლოგიკურად. ასე რომ, თუ კარგად ითამაშებენ, რუსეთის ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა ექნებათ „უზბეკებს" (უზბეკეთის მოქალაქეებს) მამინოვსა და პაშინინს. იგივე თეორიული შესაძლებლობა რუსული პასპორტების მქონე (მათ ხომ რუსეთის ნაკრებში არასოდეს უთამაშიათ) ცნობილ მეკარე იური ოყროშიძესა და თავდამსხმელ ზურაბ წიკლაურსაც აქვთ.

### როცა იაპონელები „გაფუჭდნენ", ზიკო გამკაცრდა



**იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ზიკომ გუნდიდან ერთბაშად 8 მოთამაშე გარიცხა.** მიზეზი? ეს ფეხბურთელები დათვრნენ და შეკრების დროს დებოში ატეხეს. ადრე მოთამაშეების ასეთი საქციელი იაპონიაში საერთოდ წარმოუდგენელი იყო.

### ათეულში მხოლოდ სამი მოქმედია

**იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა ქვეყნის ჩემპიონატების ყველა დროის 10 უძლიერესი სნაიპერის სია.** მათმა დიდმა უმეტესობამ მწვანე მინდორი კარგა ხანია დატოვა, ზოგი კი ცოცხალიც აღარ არის: 1. სილვიო პიოლა – 274 გოლი. 2. ჰუნარ ნორდალი – 225. 3. ჟოზე ალტაფინი – 216. 4. ჯუზეპე მეაცა – 216. 5. რობერტო ბაჯო – 200 (დღეისათვის უკვე 203). 6. კურტ ჰამრინი – 190. 7. ჯუზეპე სინიორი, რომელიც კვლავ განაგრძობს თამაშს – 187. 8. გაბრიელ ბატისტუტა – 184. 9. ჯანპიერო ბონიპერტი – 178, 10. ამადეო ამადეი – 174 გოლი.

ბატისტუტას სიტყვით, თუკი „ფიორენტინა" დაუბრუნდება „სერია-A"-ს, იგი განაახლებს თამაშს ამ თავის საყვარელ გუნდში და შეეცდება დაძლიოს რიცხვი „200".

### უბიძგებენ... სისულელისკენ

გერმანულმა რადიოსადგურმა რტლ-მ ერთი მილიონი დოლარი ჯილდო დააწესა მიუნხენის „ბაიერნის" იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც ბერლინის „ჰერტასთან" შეხვედრაში გოლს გაიტანდა... საკუთარ კარში.

### კონფედერაციის თასი — გერმანიაში

**ფიფას გადაწყვეტილებით, კონფედერაციის თასის მორიგი გათამაშება გერმანიაში 2005 წლის 15-დან 29 ივნისამდე გაიმართება. იგი ევროპულ ქვეყანაში მეორედ ეწყობა (საფრანგეთის შემდეგ, რომელმაც 2003 წელს გაიმარჯვა).**

ტურნირში 8 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ჯერჯერობით, ცნობილია მხოლოდ 4 გუნდი: გერმანია (ორგანიზატორი ქვეყანა), ბრაზილია (მსოფლიო ჩემპიონი), მექსიკა (კონკაკაფის ჩემპიონი) და ტუნისი (აფრიკის ჩემპიონი). თუკი ბრაზილია „კოპა ამერიკასაც" მოიგებს, მაშინ ვაკანსია ამ შეჯიბრების ფინალისტს გადაეცემა.

## ცხენოსნობა

# მისი მეორე სახლი

**ადრე დილიდან გვიან ღამემდე იპოდრომზეა, თავს დასტრიალებს ბედაურებს და მათდამი სიყვარულს უნერგავს მომავალ თაობას. 30-მდე შეგირდი და 10 სპორტული ცხენია მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანი.**

ცხენოსნობაში სპორტის ოსტატ შალვა ჭაფოძეზე მოგახსენებთ. იგი 44 წლისაა და 30 წელიწადზე მეტი ცხენოსნობას შეალია. ცნობილი მხედრისა და მწვრთნელის – ზურაბ დუნდუას აღზრდილი, უმთავრესად საცხენოსნო სამჭიდში (სამანეჟო სვლა, საველე გამოცდა და კონკური – დაბრკოლებათა გადალახვა) გამოდიოდა. 15 წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების წევრმა ხუთჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, არაერთხელ გაიმარჯვა ახალგაზრდულ თამაშებსა და მოსწავლეთა სპარტაკიადებში, ოთხჯერ ამიერკავკასიის პირველობაზე აჯობა ყველას.

შალვა ჭაფოძე გახლავთ მოსკოვის, მოლდოვის, ბელორუსის, უკრაინის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პარდუბიცეს საერთაშორისო ტურნირების მონაწილე.

აქტიურ სპორტთან დამშვიდობების შემდეგაც ვერ შეელია ბატონი შალვა საყვარელ საქმეს და სამოღვაწეოდ ისევ იპოდრომი ირჩია – რამდენიმე წელიწადია, საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სკოლის მწვრთნელია. ერთი პერიოდი ქვეყნის ნაკრებ გუნდსაც ავარჯიშებდა. მისი აღზრდილები არიან ცხენოსნურ სამჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები – ზურაბ ჭინჭარაძე და ხვიჩა ათანელაშვილი, ასევე, ცნობილი მხედრები – ვანო ყურუა და ზაზა ჩიტრიკაშვილი...

შალვა ჭაფოძის მუშაობის გრაფიკი დღესაც უცვლელია. ადრე დილიდან გვიანობამდე იპოდრომზე ფუსფუსებს. აქ არის მისი მეორე სახლი, რუდუნებით აკეთებს თავის საქმეს, რადგან ცხენოსნობა მისი დიდი სიყვარულია. სიყვარულს კი, აბა, „საით ეღალატების?!"

**თამაზ ქიქავა.**

**სურათზე: შალვა ჭაფოძე.**
**ავტორის ფოტო.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 88, კვირა, 18 აპრილი, 2004 წელი.

## ყოველი მხრიდან



# ნახევარფინალში — უბრძოლველად!

**ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე უბრძოლველად გავიდა პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში მიმდინარე ვაჟთა საჩოგბურთო ტურნირის ნახევარფინალში.**

მეოთხედფინალურ მატჩში მისი მეტოქე უნდა ყოფილიყო ესპანელი ნადალი, მაგრამ მან ბრძოლაზე უარი განაცხადა მარცხენა კოჭის ტრავმის მომიზეზებით.

დანარჩენ წყვილებში რუსეთელმა საფინმა დაამარცხა ესპანელი რობრედო 7:6 (7:2), 2:6, 7:6 (7:5). მაიერმა (გერმანია) სძლია ხანესკუს (რუმინეთი) 6:4, 6:3, ჩელამ (არგენტინა) — ლასიანსს (საფრანგეთი) — 6:3, 6:2.

გუშინ, გვიან საღამოს ნახევარფინალში ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ საფინი — ლაბაძე, მაიერი — ჩელა.

**სურათზე: ირაკლი ლაბაძე.**

* * *

ჩარლსტონში კი, სადაც გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ სამასი ათასი დოლარია, მესამე წრიდან ბრძოლას გამოეთიშა სერენა უილიამსი, რომელიც ესპანელ კონჩიტა მარტინესს უნდა შეხვედროდა. მას, როგორც ჩანს, ისევ მარცხენა მუხლის ტრავმამ გაუხსენა, რის გამოც რვა თვე აღარ თამაშობდა. როგორც თავად სერენამ განაცხადა, ექიმებმა ურჩიეს, რომ ჩარლსტონში სათამაშოდ არ წასულიყო, მაგრამ მან არ დაუჯერა, ახლა კი საეჭვოა „როლან გაროსშიც" მისი მონაწილეობა. სამაგიეროდ, შემდეგ ეტაპზე გავიდა სერენას უფროსი და — ვინუს უილიამსი, მან მიქაელიანი (შვეიცარია) დაამარცხა — 6:4, 6:1. შემდეგ წრეში ითამაშებენ აგრეთვე კოსტანიჩი (ხორვატეთი), მანდულა (უნგრეთი), ზვონარევა და პეტროვა (ორივე რუსეთი), დევენპორტი (აშშ), შნიდერი (შვეიცარია).

**სურათზე: თამაშობს ვინუს უილიამსი.**






# დიდხანს ვერ გაუძლო

**მსაჯები იძულებული გახდნენ, ორთაბრძოლა მეორე რაუნდის მე-3 წუთზე შეეწყვიტათ, როდესაც ცნობილმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ხასიმ რახმანმა ნოკაუტში გაუშვა მარიო კროული. ეს ხასიმის ზედიზედ მეორე გამარჯვება იყო.**

ახლა რახმანის „პირად საქმეში" 37 გამარჯვება, ერთი ფრე და 5 დამარცხებაა. მისთვის კარიერაში ყველაზე დიდი წარმატება 2001 წლის ნოემბერში ლენოქს ლუისის ნოკაუტით დამარცხება იყო. ახლა ის WBA რეიტინგის მეოთხე ადგილზეა, ხოლო WBC-ში მეექვსეზე.

# ისრაელს აკრძალვა მოუხსნეს

**სასიხარულო ამბავი შეიტყვეს ისრაელში, ფეხბურთის გულშემატკივრებმა რეგიონში სერიოზული დაძაბულობის გამო ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ ფიფამ და უეფამ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას საშინაო საერთაშორისო მატჩების გამართვის უფლება მისცეს.**

ამჟამად ისრაელში იმყოფება კომისია თურქეთისა და ესპანეთის მხრიდან უეფა-ს ორი ვიცე-პრეზიდენტის შემადგენლობით, მან უნდა შეისწავლოს საერთაშორისო შეხვედრების უშიშროების ორგანიზაციის ყველა საკითხი.

ასე რომ, სულ მალე ისრაელში ისევ გაიმართება ევროპის სათასო ტურნირების მატჩებიც და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრებიც.

# მსოფლიო რეკორდი — დირიჟაბლით

**ფრენის ხანგრძლივობაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჰაერონაოსნობის ცენტრის „ავგურის" პილოტმა, რუსეთელმა ნიკოლოზ გა-**



**ულკინმა. ის დირიჟაბლით AV-1 „ფილინი" დაუშვებლად და საწვავის დაუმატებლად ცაში 6 საათი და 4 წუთი იმყოფებოდა, რაც ასეთი სარეკორდო ფრენის ძირითადი მოთხოვნაა.**

რეკორდი დაფიქსირდა ყველა საერთაშორისო წესის დაცვით. ჩეხეთში დამზადებული დირიჟაბლის ბორტზე იყო დაპლომბილი ხელსაწყო, რომელიც ფრენის პერიმეტრებს იწერდა.

ადრინდელი რეკორდი — 5 საათი და 6 წუთი — 1992 წლის 25 იანვარს დაამყარა ლუქსემბურგელმა გი მოიანომ.

# გინესის წიგნში — 25-ჯერ!

სწორედ რომ ასეა! ვიქტორ ცარიოვმა 25-ე რეკორდი დაამყარა გინესის რეკორდების წიგნისათვის. იგი ასე წახრილი, ერთი ბურთი კისერზე რომ ედო, 10 წუთი და 57 წამი ორი ბურთით ქონგ-



ლიორობდა, ფეხებით მეოთხე ბურთს კენწლავდა, თან „თავისი ღერძის" გარშემო ბრუნავდა. ასე მან 1120-ჯერ აკენწლა. ყოველივე ეს 7 თვის ქალიშვილს მიუძღვნა.

ამ რეკორდის დაბადებას ათასამდე კაცი ესწრებოდა. ადრე კი იმავე პოზაში სამი ბურთით ვარჯიშისას (ერთ ბურთს ხელით სხეულის გარშემო დააგორებდა) ბურთი 5-ათასჯერ აკენწლა.

სამომავლოდ კი ახალი რეკორდის ერთ საათამდე გახანგრძლივებას გეგმავს.

## გუშინ

ფეხბურთი. XV ეროვნული ჩემპიონატი. VII-XII ადგილები.

„მცხეთა" — „მერცხალი" 2:0.

* * *

კალათბურთი. ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის IV წრე. გამოტოვებული მატჩი.

„ბასკო" — „მაქაბი" 95:82.

დღეს ვერის ბაღში 15 საათზე ითამაშებენ „დინამო" — „ბასკო".

## ცინცხალი ამბები



„ფორმულა-1"-ის საჯიბინომ „ჯორდანმა" დაამთავრა ახალი ბოლიდის მომზადება პირველი ევროპული რბოლისათვის. ბრიტანეთის ავტოდრომ „სილვერსტოუნზე" მოეწყო ახალი მანქანის სამდღიანი ტესტირება. პილოტებმა თითქმის 2 ათასი კილომეტრი გაიარეს. ახლა „ჯორდანი" ახალი ბოლიდით 25 აპრილს იტალიაში, „სანმარინოს გრან-პრიზე" იბრძოლებს გამარჯვებისათვის.

* * *

მსოფლიო რეკორდსმენი მარათონულ სირბილში, ინგლისელი პოლა რედკლიფი ვარჯიშს შეუდგა თიაქარის ოპერაციის შემდეგ. 30 წლის სპორტსმენმა ქალმა სირბილი დაიწყო გერმანიაში ოპერაციის ხუთი დღის შემდეგ. ის გამარჯვებას აპირებს ათენში ოლიმპიურ თამაშებზე.



15 ივნისს მახაჩკალაში გაიხსნება სახელგანთქმული მოჭადრაკის, მსოფლიოს მე-12 დიდოსტატის ანატოლი კარპოვის საჭადრაკო სკოლის დაღესტნის სახლი, რომელიც საგანგებოდ აგებულ ორსართულიან შენობაში დაბინავდება.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

როგორც უკვე გაუწყეთ, **მიხეილ ღვინჯილია** (დაიბადა 1985 წელს) წლების განმავლობაში თავისუფალ ჭიდაობას მისდევდა და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზში დროებით, ძალის მოსამატებლად მისული, დღესაც ვარჯიშობს და საკმაო წარმატებებითაც — იგი საქართველოს ჩემპიონია თავის ასაკობრივ ჯგუფში. მიხეილი წლეულს თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის არქიტექტურის ფაკულტეტს ამთავრებს და უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — ნიკოლოზ სარალიძის შეგირდს დიდი გეგმები აქვს სპორტშიც...

## ხალიჩიდან — ფიცარნაგზე, III ნაწილი

დღეს გთავაზობთ ტრენაჟორებზე რამდენიმე ვარჯიშს მიხეილ ღვინჯილიას შესრულებით.

**ფეხის კუნთების ვარჯიში**

**1. ზურგზე დაწოლილი მდგომარეობიდან ფეხების გამართვით ტრენაჟორის სიმძიმის დაძლევა. ავარჯიშებს ბარძაყის ოთხთავა კუნთებს (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. ფეხების ძალით ტრენაჟორის წინააღმდეგობის დაძლევა და ფეხების მიტყუპება (სურ. 2, 3).** ავითარებს თერძის კუნთებს. სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**3. ფეხის წვერებზე გადასვლით წვივის კუნთების ვარჯიში (სურ. 4).** წონა ბალიშის მეშვეობით წელზე ეყრდნობა ათლეტს. სრულდება 6 მისვლა 15-15 გამეორებით.

**მუცლის კუნთების ვარჯიში**

**4. სპეციალურ სკამზე ტანის უკან გადახრა (სურ. 5).** სრულდება 4-6 მისვლა 20-20 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
ჯავარ ლომაძის ფოტო.
















გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# ბუში და ბლერი უკან დახევას არ აპირებენ

**თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მხარი დაუჭირეს ერაყის დროებითი მთავრობისათვის ხელისუფლების გადაცემის მექანიზმს, რომელიც გაერომ შეიმუშავა.**



ერაყში ამჟამად არსებული ძალადობის კერებისა და სისხლისღვრის მიუხედავად, ორივე ლიდერმა აღნიშნა, რომ კვლავ აპირებენ 30 ივნისისათვის გადასცენ ხელისუფლება ერაყელებს.

ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ საჭიროა გარკვეული დროით გადაიწიოს ერაყში სუვერენიტეტის გადაცემის ვადა, რადგან ქვეყანაში ამჟამად არ სუფევს სიმშვიდე, მაგრამ, როგორც ბლერმა შენიშნა, ბრიტანეთის პრემიერი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი „კატეგორიულად“ აპირებენ ამის გაკეთებას დასახულ ვადებში. ამ ორივე ლიდერმა დაუჭირა, აგრეთვე მხარი ხელისუფლების გადაცემის გეგმას, რომელიც შეიმუშავა გაეროს დესპანმა, ალჟირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლაჰდარ ბრაჰიმიმ.

გეგმა, ჯერჯერობით, საჯაროდ არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ რამდენადაც ცნობილი გახდა, იგი ითვალისწინებს იმას, რომ დაიშლება ერაყის ამჟამინდელი სამთავრობო საბჭო და მის ადგილზე შეიქმნება თვალსაჩინო ერაყელი მოღვაწეებისგან შემდგარი დროებითი მთავრობა, რომელსაც 30 ივნისისათვის უნდა გადაეცეს ხელისუფლება, და რომელიც შეადგენს ქვეყნის ახალ კონსტიტუციას და მოამზადებს მომავალი წლისთვის დასახულ საყოველთაო არჩევნებს.

ერაყში შეჭრაზე გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის მიღებას შარშან ამაოდ ცდილობდნენ ვაშინგტონი და ლონდონი, და მაშინ მათ გადაწყვიტეს, რომ ამ პრობლემის მოგვარების პროცესში საერთოდ აევლოთ გვერდი გაეროსათვის, მაგრამ ბლერი ახლა უკვე ლაპარაკობს იმ „ცენტრალურ როლზე“, რომელიც უნდა შეასრულოს გაერომ „სრულ დემოკრატიაზე ერაყის პოლიტიკური გადასვლის პროგრამისა და მექანიზმის შემუშავების საქმეში“.

ბუშმა შენიშნა, რომ ბრაჰიმიმ შეიმუშავა გეგმა, რომელიც „მისაღებია“ ერაყელი ხალხის უმრავლესობისათვის“, თუმცა იქვე დასძინა, რომ ერაყში, შესაძლოა, კვლავ გაგრძელდეს სისხლისღვრა. ბლერმა კი ერაყში სისხლის ღვრისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დააკისრა იმ ადამიანებს, რომლებსაც, მისი თქმით, არ სურთ, რომ „ერაყის მომავალი განსხვავდებოდეს მისი წარსულისგან“.

ლონდონსა და ვაშინგტონს სურთ, რომ ბრაჰიმის გეგმა დაფიქსირდეს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალ რეზოლუციაში.

ბლერის თეთრ სახლში ვიზიტამდე პრესა, განსაკუთრებით კი ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, აღნიშნავდნენ, რომ ორი ლიდერის მომავალ შეხვედრაზე, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ის უთანხმოება, რომელიც გამოიწვია ბუშის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გაკეთებულმა განცხადებამ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის გეგმას, რომელიც გულისხმობს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის გარკვეული ტერიტორიების შენარჩუნებას ისრაელის შემადგენლობაში და უკრძალავს პალესტინელ ლტოლვილებს მშობლიურ კერებში დაბრუნებას.

მაგრამ ასეთი უთანხმოება თუ იყო კიდეც, ორი ქვეყნის ლიდერებს ამის შესახებ საჯაროდ არაფერი უთქვამთ და, პირიქით, აღნიშნეს, რომ ისრაელის პრემიერის გეგმამ ახალი სიცოცხლე უნდა შესძინოს „საგზაო რუკას“ – ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების საერთაშორისო გეგმას, რომელსაც დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, ევროკავშირმა და გაერომ.

# სლოვაკეთი ირჩევს პრეზიდენტს

**სლოვაკეთში მიმდინარეობს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური. არჩევნები იმართება ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებამდე ორი კვირით ადრე.**

გამარჯვებისთვის იბრძვის ორი კანდიდატი – ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ მეჩარი და მისი ყოფილი თანამოსაგრე, ახლა კი – ოპონენტი ივან გასპაროვიჩი.

სლოვაკეთის პრეზიდენტი, ძირითადად, ნორმალურ ფუნქციებს ასრულებს.

ვლადიმერ მეჩარი, რომელიც ფავორიტად ითვლება, სლოვაკეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა 1993 წელს, როცა ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

მაშინ მეჩარი მკაცრად გააკრიტიკეს დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო უფლებების დათრგუნვისათვის.

1998 წელს იგი იძულებული იყო დაეტოვებინა პოსტი, ევროკავშირმა კი ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული სიტუაცია იმდენად კრიტიკულად მიიჩნია, რომ შეაჩერა მოლაპარაკება სლოვაკეთთან ევროკავშირსა და ნატოში მისი გაწევრიანების შესახებ.

ახლა მეჩარი აცხადებს, რომ სათანადო დასკვნები გამოიტანა წარსულში დაშვებული შეცდომებიდან.

იმის მიუხედავად, რომ ივან გასპაროვიჩი მთელი 10 წლის განმავლობაში უჭერდა მხარს მეჩარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დასავლეთში მას მეჩართან შედარებით ნაკლებად ოდიოზურ ფიგურად მიიჩნევენ.

არჩევნების წინ მრავალი ამომრჩეველი აცხადებდა, რომ არ აპირებდა მონაწილეობას კენჭისყრაში. ამავე დროს, როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, რაც უფრო მეტი ამომრჩეველი გამოცხადდება უბნებში, მით უფრო გაიზრდება გასპაროვიჩის შანსები.

პირველი ტურის შედეგების მიხედვით, 61 წლის მეჩარმა მოულოდნელად დაიკავა პირველი ადგილი ხმათა 32,7 პროცენტით. მაშინ გასპაროვიჩს ხმა მისცა ამომრჩეველთა 22,3 პროცენტმა.

მმართველი ძალების წარმომადგენელი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა და ვერ შეძლო მეორე ტურში მონაწილეობა.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მეჩარი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხანდაზმულ მოქალაქეებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც დაზარალდნენ ევროკავშირში გაწევრიანების წინ სლოვაკეთში განხორციელებული საბაზრო რეფორმების შედეგად.




# კოსოვოში დააპატიმრეს სერბების მკვლელობაში ეჭვმიტანილი ალბანელები

**კოსოვოში გაეროს სამშვიდობო ძალები ამტკიცებენ, რომ დააკავეს 260-ზე მეტი კაცი ამ მხარეში ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობის კერების გაღვივებასთან დაკავშირებით, რასაც გასულ თვეში 19 ადამიანი ემსხვერპლა.**

როგორც გაეროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, ამ პირთა დაპატიმრება ხორციელდებოდა მთელი კოსოვოს მასშტაბით. დაკავებულებს ბრალად ედება სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულობათა ჩადენა – მკვლელობა, მკვლელობის მიზნით თავდასხმები და თვით უბრალო ხულიგნობაც კი.

ეს ახალი ამბავი გავრცელდა მაშინ, როცა ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ირლანდიაში გამართულ შეხვედრაზე განიხილავდნენ კოსოვოს პრობლემას. მათ მოუწოდეს პროვინციის ხელმძღვანელობას დაიცვან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები და დაიწყონ მრავალეროვნული საზოგადოების მშენებლობა.

კოსოვო, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური ალბანელები შეადგენენ, სერბეთის ტერიტორიის ნაწილია. 1999 წლიდან ეს პროვინცია შედის გაეროს პროტექტორატში.

კოსოვოში გაეროს მისია აცხადებს, რომ პასუხისგებაში გადასცემს სერბების მკვლელობაში ბრალეულ პირებს, თუმცა პროვინციაში, ჯერჯერობით, არ შეინიშნება არანაირი პოლიტიკური პროგრესი და არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ იქ კვლავ აგორდეს ძალადობის ახალი ტალღა.



# ფალუჯი კვლავ ალყაშია მოქცეული

**ამერიკელთა ჯარები, რომლებსაც ალყაში ჰყავთ მოქცეული ერაყის ქალაქი ფალუჯი, იყენებენ ქალაქის ცენტრში გამაგრებულ ერაყის წინააღმდეგობის მოთარეშეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებს.**

დაბინდებისთანავე, ამერიკელები მძლავრი დინამიკების მეშვეობით იწყებენ ფალუჯში მძიმე როკის კონცერტების „ტრანსლირებას“. განსაკუთრებით ხშირად გადასცემენ „ეთერში“ „AC/DC“ ჯგუფის და ჯიმი ჰენდრიქსის კომპოზიციებს, რაც არაბების აშკარა გაღიზიანებას იწვევს. გარდა ამისა, გიგანტური ხმის მაძლიერებლებიდან გაისმის, აგრეთვე ლანძღვა-გინება არაბულ ენაზე და სხვადასხვა უსიამოვნო ხმები, მაგალითად, კატის კნავილი და ძაღლის ყეფა.

ჯერ კიდევ შარშან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკელები ასეთ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მიმართავდნენ ერაყელ ტყვეებთან ურთიერთობის დროს. მაშინ „ნიუსუიკის“ ჟურნალისტები წერდნენ, რომ სადამ ჰუსეინის დატყვევებულ თანამებრძოლებს საპყრობილეებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასმენინებდნენ „ჰევი-მეტალს“ და სიმღერებს მულტიპლიკაციური ფილმებიდან.

– ადამიანებს წინათ არასდროს მოესმინათ „ჰევი-მეტალი“. ისინი, უბრალოდ, ვერ იტანენ ამას. თუ თქვენ ასეთ მუსიკას განუწყვეტლივ მოისმენთ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, შესაძლოა, გადაცდეთ ჭკუიდან“, – განაცხადა მაშინ ერთ-ერთმა ამერიკელმა ჯარისკაცმა.

ამერიკელებმა, აგრეთვე, გაითვალისწინეს ვიეტნამის ომის გამოცდილება და გასული წლის ივნისში ერაყის ქალაქ რამადიში „წმენდა“ განახორციელეს ვაგნერის მუსიკის თანხლებით. მზის ამოსვლისთანავე ამერიკელთა ჯავშანტექნიკა შეიჭრა ქალაქში, ასობით ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ჩხრეკდა მოქალაქეთა სახლებს ვაგნერის სახელგანთქმული ნაწარმოების



„ვალკირიების ფრენის“ თანხლებით. ისინი ეძებდნენ მოთარეშეებს, რომლებიც რეგულარულ პარტიზანულ თავდასხმებს აწყობდნენ ამერიკელებზე. მუსიკის ხმა ისმოდა უზარმაზარი მაძლიერებლებიდან, რომლებიც ვერტმფრენებზე იყო დამონტაჟებული. ყოველივე ეს ძალზე მოგვაგონებდა ფრაგმენტებს ფრენსის ფორდ კოპალას ფილმიდან „აპოკალიფსის დღეს“.

ფსიქოლოგიური და ემოციური ზემოქმედებისთვის იყენებენ, აგრეთვე, სხვა ჩანაწერებსაც, მაგალითად, სირენის, ბომბის აფეთქებების, თუ სხვა გამაღიზიანებელ ხმებს.

* * *

16 აპრილს ღამით კი გაიმართა ალყაშემორტყმულ ერაყში ქალაქ ფალუჯის მცხოვრებლებისა და ერაყში ამერიკელთა ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირველი უშუალო მოლაპარაკება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურმა რიჩარდ ჯონსმა მოუწოდა ქალაქის მცხოვრებლებს დაეხმარონ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებს ფალუჯში უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში და არ შეუშინდნენ ამერიკელთა ახალ საბრძოლო ოპერაციებს. „ჩვენ მათ მივეცით მოფიქრების დრო, და, გულახდილად რომ გითხრათ, ეს დრო საკმაოდ შეზღუდულია“, – თქვა რიჩარდ ჯონსმა.

ფალუჯის მცხოვრებთა დელეგაციის მეთაურმა აჰმედ ჰარდანმა განაცხადა, რომ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ოთხი ამერიკელი სპეციალისტის მხეცურ მკვლელობაში, წარსდგებიან ერაყის სასამართლოს წინაშე. ამას იტყობინებოდა ყატარის თანამგზავრული ტელეარხი „ალ-ჯაზირა“.

ფალუჯში გააფთრებული შეტაკებები ერაყელთა შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და ამერიკელ სამხედროთა შორის დაიწყო მას შემდეგ, რაც 31 მარტს გამხეცებული ბრბო სასტიკად გაუსწორდა ოთხ ამერიკელს. ამის პასუხად ამერიკელთა სამხედრო სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქში შურისძიების აქციის განხორციელების შესახებ.

ამჟამად ქალაქში კვლავ მოქმედებენ ერაყის პოლიციის რაზმები. როგორც პოლიციის ერთ-ერთმა ოფიცერმა განაცხადა, წესრიგის დამცველთა დაბრუნება ფალუჯში მოხდა შუამავლებისა და თვით ქალაქში მცხოვრებთა თხოვნით.

ამავე დროს, ერთ-ერთმა შუამავალმა, რომლის მეშვეობითაც მყარდება კონტაქტები ქალაქის მცხოვრებლებსა და ამერიკელებს შორის, აღნიშნა, რომ ამერიკელები კვლავ განაგრძობენ თავდაცვითი ორმოებისა და სანგრების თხრას, რაც, მისი აზრით, მოწმობს იმას, რომ ისინი არ აპირებენ ქალაქიდან უკან დახევას და ფალუჯში მხოლოდ ერაყელი პოლიციელების დატოვებას.

ამ ბოლო 24 საათის განმავლობაში, ფალუჯში მომხდარი შეტაკებების დროს დაიღუპა 9 და დაიჭრა 11 ერაყელი. ამერიკელები ახორციელებენ ჩხრეკა-დაპატიმრებებს ქალაქის მცხოვრებთა სახლებში, რომლებიც მათ კონტროლს დაქვემდებარებულ უბნებშია განლაგებული.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომი-ლიკანი“ მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №16.

**აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგი სახის კვების პროდუქტების შესასყიდად:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფქვილი პურის შავი | კგ | 175 | ბოლოკი | კგ | 32 |
| ფქვილი სიმინდის | კგ | 1401 | ლიმონი | კგ | 1.662 |
| კარტოფილი | კგ | 22155 | ქიშმიში | კგ | 366 |
| კომბოსტო | კგ | 9033 | მარგარინი | კგ | 2.311 |
| ხახვი | კგ | 4057 | ხილფაფა | კგ | 1223 |
| სტაფილო | კგ | 6766 | რძე შედედებული | კგ | 354 |
| მარილი | კგ | 4304 | სოდა | კგ | 30 |
| წყალი ბორჯომის | ბ | 1900 | ჭარხლის ფოთოლი | კგ | 195.2 |
| თაფლი | კგ | 872 | ბადრიჯანი | კგ | 118 |
| მანის ბურღული | კგ | 254 | მარწყვი | კგ | 214 |
| ჭარხალი | კგ | 4843 | ბალი | კგ | 248 |
| ნიორი | კგ | 148 | ერბო | კგ | 96 |
| საფუარი | კგ | 178.4 | მწვანე ბარდა | კგ | 226.9 |
| ძმარი | ლიტ | 276.6 | ასკილი | კგ | 508 |
| ტომატი | კგ | 1652.6 | ღერღილი | კგ | 189 |
| კიტრი პიკული | კგ | 323.4 | საფანელი | კგ | 93 |
| ჯემი | კგ | 118 | ხბოს ხორცი | კგ | 206 |
| ქერის ბურღული | კგ | 154 | პომიდორი | კგ | 1056 |
| არაჟანი | კგ | 3125 | კიტრი | კგ | 2244 |
| სუნელები | კგ | 30.3 | ნაყინი | ც | 7083 |
| ხაჭო | ც. | 6975 | მწვანე ლობიო | კგ | 50 |
| ბამბანერკა | ლიტ | 1.535 | წიწაკა ბულგარული | კგ | 272 |
| ყავა ერთჯერადი | კგ | 69.6 | ლიმონმჟავა | კგ | 2750 |
| შიგნეული საქონლის | კგ | 194.8 | ჟოლო | კგ | 262.5 |
| ზეთისხილი | კგ | 666.30 | ატამი | კგ | 595.8 |
| მწვანილი | კგ | 1.391 | მაყვალი | კგ | 301.5 |
| მანდარინი | კგ | 118 | მსხალი | კგ | 256.5 |
| ღვინო თეთრი | ბ | 483 | გარგარი | კგ | 53.4 |
| ვაშლი | კგ | 1737 | საზამთრო | კგ | 482.5 |
| მაიონეზი | კგ | 656.3 | ყველი ქართული | კგ | 84.3 |
| პილპილი | კგ | 7.3 | ხორცი ღორის | კგ | 82 |
| ისპანახი | კგ | 276 | პერლოვის ბურღული | კგ | 50 |
| ლიმონათი | ბ | 235 | ორცხობილა | კგ | 30 |
| ვანილი | კგ | 3.8 | ტყემალი | კგ | 945.6 |
| ფორთოხალი | კგ | 318 | ყურძენი | კგ | 243 |
| მწვანე ხახვი | კგ | 36 | | | |

✓ მოწოდებული პროდუქტები უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

✓ მიწოდების სასურველ ვადად განისაზღვრება 2004 წლის 1 ივნისიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველის ორგანიზაციის წინასწარი დაკვეთის შესაბამისად შედგენილი გრაფიკი, DDP პირობით შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე.

✓ დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე) წარმოადგინონ 5 მაისის 9 საათიდან 10 მაისის 17 საათამდე შემსყიდველის მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №16.

✓ საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას (სასამართლოდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან), რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას (სამედიცინო დაწესებულებიდან), რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

✓ იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

✓ სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ 13 მაისის 9 საათიდან 18 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №16.

✓ სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

✓ ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: 8(267) 2-19-07, 899 55-25-53, მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №16.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა პრეტენდენტებს შეეძლებათ TBC ბანკის ბორჯომის ფილიალში, ანგარიშის №609303.

## განცხადება

# საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო

**1. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

**ლოტი I.**

მსუბუქი, მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისთვის, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ორკარიანი.

საწვავის ხარჯი – 100 კილომეტრზე – მაქსიმუმ 9 ლიტრი 90 კმ სიჩქარეზე.

საწვავის ტიპი – ბენზინი.

ძრავის მოცულობა – 1.600-2000 სმ$^3$.

სიმძლავრე – არანაკლებ 80 ცხენის ძალა.

სიჩქარე – არანაკლებ 120 კმ/სთ.

სიჩქარის გადამცემი კოლოფი – მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).

**ლოტი II.**

მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისთვის, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ოთხკარიანი, წინა წამყვანი.

საწვავის ხარჯი – 100 კილომეტრზე; ბენზინის შემთხვევაში – მაქსიმუმ 8 ლიტრი 90 კმ სიჩქარეზე, დიზელის შემთხვევაში – მაქსიმუმ 6 ლიტრი 90 კმ სიჩქარეზე.

საწვავის ტიპი – ბენზინი ან დიზელი.

ძრავის მოცულობა – 1.600-2000 სმ$^3$.

სიმძლავრე – არანაკლებ 80 ცხენის ძალა.

სიჩქარე – არანაკლებ 130 კმ/სთ.

სიჩქარის გადამცემი კოლოფი – მექანიკური (5 წინა, 1 უკანა) ან ავტომატური.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 3 და 4 მაისს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, 9 აპრილის ქუჩა № 4.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**3.1. იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

● ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მათს ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

● ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მათი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**3.2. ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

● ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობისას იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**3.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

● ბანკიდან, – რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არ აქვთ დავალიანება;

● საგადასახადოდან, – რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები;

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2004 წლის 6 მაისს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა № 4.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სადაღაშვილი ზაზა, 98-84-67; 899-10-05-36.

8. უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**სატენდერო კომისია.**

პირად-პირადი

**ზოგს**, შესაძლოა, არ მოსწონდეს მისი სიმღერები, ზოგიც გაოგნებით ადევნებდეს თვალ-ყურს მის თაყვანისმცემელთა გრძელ რიგს, რომელთა ასაკიც სულ უფრო კლებულობს, ზოგსაც აღიზიანებდეს მისი საკმაოდ გამომწვევი ჩაცმულობა, მაგრამ, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც მის მიმართ გულგრილი იყოს.

15 აპრილს ალა პუგაჩოვამ აღნიშნა თავისი დაბადების 55 წლისთავი. პრიმადონას თავისი დაბადების დღის დიდი ზარ-ზეიმით გადახდა არ უყვარს და თითქმის ყოველთვის ცდილობს ამ დღეს გაიქცეს მოსკოვიდან...



# რუსული ესტრადის პრიმადონა

რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარს ეს დაბადების დღეები! არ მიყვარს მათი აღნიშვნა, — თქვა მომღერალმა — მით უმეტეს, ეს ზედმეტად მიმაჩნია ახლა, რადგან, ჩემი აზრით, ბევრი არაფრით გამოვირჩევი სხვებისგან. უფრო სწორად, ვგულისხმობ იმას, რომ ჩემს ცხოვრებაში ახალი არაფერია. უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე... ადამიანებისათვის განსაკუთრებული წყენა არ მომიტანია. რას იზამ, ალბათ, მაინც მოგვიწევს ქეიფი, რადგან ეს საიუბილეო თარიღი კი არა, უბრალოდ, ლამაზი ციფრია — ორი ხუთიანი.

მომღერალი ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც საგასტროლო ტურნე ჰქონდა. გასტროლები დიდი წარმატებით გაიმართა. ალა პუგაჩოვა კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას ესტრადაზე.

ყველაფერი კი დაიწყო 1974 წელს, ბულგარეთში გამართულ ფესტივალ „ორფეოსზე“, სადაც მან ლაურეატობა მოიპოვა. თუმცა, როგორც მომღერალი იხსენებს, უკვე მომდევნო — 1975 წელს, მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაესრულებინა კარიერა, რადგან სწორედ იმ წელს გაეყარა თავის ქმარს.

— უკვე არაფრის იმედი აღარ მქონდა, მაგრამ უეცრად მომადგა კარს პოპულარობა და წარმატება, — იხსენებს ალა პუგაჩოვა. მას შემდეგ გაითქვა კიდეც ამ უდავოდ ნიჭიერმა შემსრულებელმა სახელი არა მარტო ყოფილ სსრ კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ალა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მასზე თხზავდნენ ანეკდოტებს, იგონებდნენ ათასგვარ ტყუილსა თუ მართალს. ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს ერთი ასეთი ანეკდოტი:

— ვინ არის ბრეჟნევი?

— უმნიშვნელო პოლიტიკოსი, რომელიც მოღვაწეობდა ალა პუგაჩოვას ეპოქაში.



პროდიუსერი ოლეგ ნეპომნიაშჩი (ცენტრში), მიკოლას ორბაკასი (მარცხნიდან), ევგენი ბოლდინი და ფილიპ კირკოროვი ალა პუგაჩოვას 50 წლის იუბილეზე.

თვით მომღერალი კი ოცნებობს იმაზე, რომ თავის თავს უწოდოს „პატარა, მაგრამ წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც საქმიანობას ეწევა დიდი პოლიტიკური მოღვაწის ეპოქაში“...

ყველაზე ხანგრძლივი ოფიციალური ქორწინება ალა პუგაჩოვას მუსიკალურ პროდიუსერთან ევგენი ბოლდინთან ჰქონდა.

აი, როგორ იხსენებს ამას თვით ევგენი ბოლდინი:

— როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, მაშინ ალა სტეფანიჩევზე იყო გათხოვილი, მეც ცოლიანი ვიყავი. მაგრამ, გარკვეულ ეტაპზე როგორც ალას, ისე მე, შეგვექმნა პრობლემები „მეორე ნახევრებისაგან“. მე 1979 წელს გავეყარე ცოლს, ალა კი 1980 წელს დაშორდა სტეფანიჩევს. მოხდა ისე, რომ მეც და ალაც მარტონი დავრჩით. და, საბოლოო ანგარიშით, ორი ადამიანი, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ დიდი სიმპათიის და პატივისცემის გრძნობა, ერთ ოჯახად გაერთიანდნენ.

ალა პუგაჩოვას პირველი ქმარი კი იყო მიკოლას ორბაკასი.

1999 წელს, ალა პუგაჩოვას 50 წლისთავის იუბილეზე, რესტორან „მეტროპოლში“ ერთად მოიყარეს თავი მისმა სამმა მეუღლემ: მ. ორბაკასმა, ე. ბოლდინმა და ფ. კირკოროვმა.

პუგაჩოვას ცხოვრებაში არის კიდევ ერთი ადამიანი — პროდიუსერი ოლეგ ნეპომნიაშჩი, რომელიც მასთან 1986 წლიდან მეგობრობს. სწორედ ნეპომნიაშჩიმ გააცნო ალა პუგაჩოვას თავის დროზე ნიკოლას ორბაკასი, ევგენი ბოლდინი და ფილიპ კირკოროვი. თვით ალა პუგაჩოვა ნეპომნიაშჩის თავის „მუდმივ მაჭანკალს“ უწოდებს.

ახლა, რაც შეეხება მომღერლის გეგმებს. იგი აპირებს მოსკოვში ჩიფსის გამოშვებას. ეს, როგორც პუგაჩოვა ამბობს, ცოტათი მაინც შემატებს ფულს მის მომავალ პენსიას.

რაც შეეხება საესტრადო მოღვაწეობას, იგი აპირებს გამოსცეს ახალი დისკი. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ახალი ალბომის გამოცემა არა აქვს დაგეგმილი რაიმე კონკრეტულ ვადაში, რადგან მშვიდად სურს მასზე მუშაობა.

**„არგუმენტი ი ფაქტის“ მასალების მიხედვით.**

ხელოვნება

# ქართული ლეგენდა მთელი მსოფლიოსთვის

**ანსამბლი „ერისიონი“ ამას წინათ მოსკოვში საგასტროლოდ იმყოფებოდა. კოლექტივის სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება „შატილის ასულის“ კლიპის მთავარი გმირი, ანსამბლის სოლისტი გიული ცხადაძე:**

— ანსამბლს დღეისათვის აქვს ყოველდღიური რეპეტიციები და ვემზადებით სამომავლო გასტროლისთვის.

დიდი შთაბეჭდილებით დავბრუნდით მოსკოვიდან, ჩვენს ორსაათიან კონცერტზე დასწრების მსურველნი ბილეთში 900-დან 3500 რუბლამდე იხდიდნენ. ჩვენს მიერ შესრულებული ყოველი ნომრის შემდეგ მაყურებელი გამოხატავდა დიდ აღტაცებას და ოვაციას. განსაკუთრებით იქ მყოფი ქართველები აღაფრთოვანა სცენაზე ქართული დროშის გამოტანამ.

**— როგორ მოხვდით „შატილის ასულის“ კლიპში?**

— ჩვენს ამერიკელ პროდიუსერს დიდი სურვილი ჰქონდა შეექმნა ისეთი კლიპი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა თაობათა ცვლის სიუჟეტი, ასეთი ტიპაჟები კი აღმოვჩნდით მე და ჩემი შვილი, გიორგი.

**— თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ ხელოვანმა ხალხის სიმპათია დაიმსახუროს?**

— ხელოვანმაც, ისევე როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ, ყველანაირი მოქალაქეობრივი უფლება, რაც ადამიანს ევალება, პირნათლად უნდა შეასრულოს.

**— საინტერესოა, უცხოელებთან დადებულმა თქვენმა კონტრაქტმა, თქვენი ბიუჯეტიც გაზარდა სახელთან ერთად?**

— ფრანგების მიერ კლიპის გადაღებას დიდი თანხა დასჭირდა, რის ამოღებასაც ისინი მომავალში გეგმავენ. ჩვენ კი ძალზე კმაყოფილები ვართ ჯიმ ლოუს ასეთი მხარდაჭერითა და თანადგომით, რადგან მან ყველაფერი გააკეთა, რათა „ქართული ლეგენდა“ გაეცნო და ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსთვის.

**— „ვარდების რევოლუციის“ დროს თქვენს მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ერს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე შემატა...**

— „ვარდების რევოლუციის“ დროს მთელი ოჯახი, საქართველოს აღორძინების სურვილით მობილიზებულები, ვიდექით მთავრობის სახლის წინ, სადაც გვესმოდა ჩემი და ჩემი შვილის მიერ შესრულებული სიმღერები, რომელიც საზეიმო განწყობას მატებდა ათასობით ადამიანს.

**— რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი საქმიანობით?**

— ყოველთვის კრიტიკული თვალით ვუყურებ ჩემს თავს და ვცდილობ ის შესაძლებლობა, რაც ღმერთმა მომცა, ბოლომდე დავწვა სანთელივით...

**— როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

— თუ საქართველოში კანონს ყველა დაემორჩილება, მაშინ ქვეყანა იქნება მთლიანი და განუყოფელი....

ესაუბრა
**თინათინ ცხადაძე.**




პოლიცია

# დააკავეს ქურდების „გენერალური მდივანი"

**შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ქუთაისში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიცია ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ საქმეს, იმერეთის რეგიონში ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთს კრიმინალების, კერძოდ ე. წ. „კანონიერი ქურდების“ თარეშს. მინისტრის ამ განცხადებიდან სულ რამდენიმე კვირა გავიდა და უკვე დაკავებულია ათობით კრიმინალი, ყაჩაღური დაჯგუფება და, რაც მთავარია, ქურდული სამყაროს რამდენიმე ცნობილი ავტორიტეტი.**

14 აპრილს ქუთაისის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებების თანამშრომლებმა, ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დააკავეს ამ ქალაქის მკვიდრი, ე. წ. „კანონიერი ქურდი“, ნასამართლევი ალექსანდრე იმედაძე. დაკავებისას მას აღმოაჩნდა „მაკაროვის“ სისტემის ნომერწაშლილი პისტოლეტი მჭიდითა და 8 ვაზნით.

ალექსანდრე იმედაძე ფრიად გავლენიანი პირი იყო ქუთაისსა და მთელს იმერეთში. როგორც ამ დღეებში გამართულ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძემ განაცხადა, იგი აკონტროლებდა შპს „იმერეთი-2000“-ის ბაზრობას, ქუთაისში სამარშრუტო ტაქსების შემოსავლებიდან იღებდა სოლიდურ წილს, ასევე განაგებდა ე. წ. „კანონიერი ქურდების ობშიაკს“ — ფულად შემოსავლებს, ამის თაობაზე მინისტრმა იხუმრა, პოლიციამ იმერეთის ქურდების გენერალური მდივანი დააკავაო.

შს სამინისტროში შეურიგებელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული ნარკომანიასა და ნარკობიზნესს, როგორც სისტემის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, — მთელი ქვეყნის მასშტაბით. შსს გენერალურმა ინსპექციამ სულ რაღაც სამ თვეში გამოავლინა ნარკომანი და ნარკობიზნესთან დაკავშირებული 46 სხვადასხვა რანგის თანამშრომელი, ზოგიერთის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დანარჩენი კი დაითხოვეს პოლიციის რიგებიდან.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს მინდა მივაწოდო ნარკომანიასა და ნარკბიზნესთან ბრძოლის ამსახველი ორი „ცხელი“ ინფორმაცია.

შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ამ დღეებში დააკავეს ნარკოტიკების მიღების შედეგად გაბრუებული დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი უშანგ გურიელი.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების კონტრაბანდის კიდევ ერთი შემთხვევა აღკვეთეს ქვემო ქართლში. 15 აპრილს შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა საბაჟო „წითელი ხიდის“ გამშვებ პუნქტზე დააკავეს ქ. რუსთავის მცხოვრები გიორგი არწივაძე. პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამიზნული, განსაკუთრებით დიდი ოდენობის (115,7 გრამი) ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი“. ნარკოტიკების ამ რაოდენობის ქონა 8-დან და 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

მოდა

# ქართველი დიზაინერები რუსეთში

**მოსკოვის ტრადიციული მოდის კვირადღეზე, ამჯერად, გაზაფხული-ზაფხული-2004-2005 წლისათვის კოლექციები წარმოადგინეს.**

ამ კვირეულმა თავი მოუყარა რუსეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ამერიკის ახალგაზრდა დიზაინერთა შემოქმედებას, მათ შორის გახლდათ სამი ქართველი დიზაინერიც — თამუნა ინგოროყვა, ავთო ცქვიტინიძე და მაკა ასათიანი.

**თამუნა ინგოროყვა** ერთ-ერთ ძლიერ დიზაინერად ითვლება საქართველოში, რუსეთში კი, სწორედ ახლა მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ამ მართლაც ნიჭიერ და ორიგინალური ხატვის შემოქმედს. მოსკოვის პოდიუმზე მისი კოლექცია საოცარი ქალურობით, სინაზითა და ჰაეროვნებით გამოირჩეოდა, ეს გახლდათ ზედმიწევნით მსუბუქი, საღამოს გამოსასვლელი შიფონის კაბები ქაშმირის მოსასხამებით, ყურადღებას იქცევდა ორიგინალური და საოცრად ლამაზი აქსესუარები, ასევე, კოსტიუმების შესაფერისი ფეხსაცმელები, რომლებიც მისივე ესკიზების მიხედვით შეიქმნა.

თამუნა ინგოროყვას ამ კოლექციამ დიდი მოწონება დაიმსახურა, მან სამართლიანად დაიკავა ადგილი მსოფლიოს აღიარებულ დიზაინერთა შორის.

**ავთო ცქვიტინიძის** შემოქმედება რუსეთის მოდის მოყვარულთათვის არახალია, ამიტომ მისი თაყვანისმცემლები განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ჩვენი თანამემამულის კოლექციას სახელწოდებით „მარტოხელა ქალის სილუეტი“.

რთულ თარგზე აჭრილ მოდელთა სილუეტებს ბუნებრივ ბეწვთან, ფარჩასთან და ატლასთან შეხამებამ მსუბუქი ჰაეროვნება შესძინა. მნახველთა აღფრთოვანება გამოიწვია ეგზოტიკურმა აქსესუარებმა და ფეხსაცმელებმა, რომლებიც სპეციალურად ამ კოლექციისთვის თვითონვე ავთო ცქვიტინიძემ შექმნა.

ავტორის აზრით, „მარტოხელა ქალის სილუეტი“ მუქ ტონალობას, ძირითადად, შავ და რუხ ფერებს, ანუ უფრო სევდიან განწყობილებას გულისხმობს, მაგრამ აქა-იქ მოხდენილად შეხამებული, შესანიშნავი ვარდისფერი სარჩული, მარტოობის დროებითობასა და მისი გადალახვის იმედს გამოხატავს.

— ავთანდილი ჩვენი პოდიუმის აღმოჩენაა, ბრილიანტია, ბედნიერები ვართ, რომ ასეთი დონის დიზაინერი საერთაშორისო რუსული მოდის კვირეულში მონაწილეობს... აღნიშნა ერთ-ერთმა მოდის კრიტიკოსმა.

